



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
იურიდიული ფაკულტეტი

დადასტურების მნიშვნელობა გარიგებათა ბათილობისას

ნაშრომი წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

ავტორი - მაია ჭილაძე

სამეცნიერო ხელმძღვანელი - გიორგი რუსიაშვილი

თბილისი

2019 წელი.

## სარჩევი

აბრევიატურა .....	1
შესავალი .....	2
I დადასტურების ინსტიტუტის მიზანი და გამოყენების ფარგლები.....	4
II კერძო ავტონომიისა და ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები დადასტურების ინსტიტუტთან მიმართებით.....	7
III გარიგებათა ბათილობა.....	13
1. მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებანი .....	15
2. გარიგების ბათილობა გავლენის ბოროტად გამოყენების გამო .....	22
3. მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებანი .....	24
4. გარიგების ბათილობა მცირეწლოვანების ან ფსიქიკური აშლილობის გამო .....	25
5. მხარდაჭერის მიმღების მიერ გარიგების დადება .....	26
6. გარიგების ფორმა .....	26
IV დადასტურება, როგორც ბათილი გარიგების შედეგი .....	28
VI საცილო გარიგებები.....	30
1. შეცდომით დადებული გარიგება და მათ შორის არსებული განსხვავება.....	32
2. მოტყუებით დადებული გარიგება.....	35
3. იძულებით დადებული გარიგება .....	37
VII საცილო გარიგების დადასტურება და შედეგები.....	38
VIII შედარებითი ანალიზი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე დადასტურების ინსტიტუტის მოწესრიგებასთან მიმართებით.....	39
IX განსხვავება სხვა ინსტიტუტებისაგან .....	48
X სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა .....	50
დასკვნა.....	56
ბიბლიოგრაფია.....	59

## აბრევიატურა

იხ. .... იხილეთ

მაგ. .... მაგალითად

შდრ. .... შეადარე

სსკ.....საქართველოს სამოქალაქო კოდექსის

BGB.....Bürgerliches Gesetzbuch

BGHZ.....Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Zivilsachen (გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა გადაწყვეტილებები)

JuS.....„Juristische Schulung“ (სამართლებრივი ჟურნალი „იურიდიული სწავლება“)

MüKo.....Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიუნხენის კომენტარი)

NJW.....„Neue Juristische Wochenschrift“ (სამართლებრივი ჟურნალი „ახალი იურიდიული საკვირაო გამოცემა“)

Nr.....Nummer(n) (ნომერი)

RGZ.....Entscheidungen des Reichsgerichts in Zivilsachen (რაიხის სასამართლოს გადაწყვეტილებები სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით)

Rz .....Randzahl (ველი)

Jauernig-ავტორი.....Bürgerliches Gesetzbuch<sup>13</sup> (2009) სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (მე-13 გამოცემა, 2009)

Köhler.....BGB Allgemeiner Teil<sup>34</sup> (2010) სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი (34-ე გამოცემა, 2010 წ.)

Larenz/Wolf.....Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts (2004) სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი (მე-9 გამოცემა, 2004 წ.)

Medicus/Petersen.....Bürgerliches Recht<sup>22</sup> (2009) სამოქალაქო სამართალი (22 - ე გამოცემა, 2009 წ.)

MüKo-ავტორი.....Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch<sup>5</sup> (2006 ff) სამოქალაქო კოდექსის მიუნხენის კომენტარი (2006 წლის და შემდეგი გამოცემები)

## შესავალი

კერძო სამართლისათვის ამოსავალია სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი, რომელიც, შეიძლება, თავისი მნიშვნელობით რწმენის, თავისუფალი გამოხატვისა და შრომის უფლებას შევადაროთ,<sup>1</sup> ამიტომ მისი უზრუნველყოფა თანამდეროვე სახელმწიფოს კონსტიტუციურ მოვალეობას განეკუთვნება.<sup>2</sup> სახელშეკრულებო თავისუფლება ქართულ სამოქალაქო კანონმდებლობით განმტკიცებული კერძოსამართლებრივი პრინციპია.<sup>3</sup> „ხელშეკრულების დადების თავისუფლება, როგორც კერძო ავტონომიის მნიშვნელოვანი გამოხატულება, არის შესაძლებლობა დადოს ან არ დადოს პირმა ესა თუ ის ხელშეკრულება, შეარჩიოს მისთვის სასურველი კონტრაქტი და ხელშეკრულების მეორე მხარესთან შეთანხმებით თავისუფლად განსაზღვროს ამ ხელშეკრულების შინაარსი“.<sup>4</sup>

სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი გულისხმობს, რომ მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ რა სურთ და როგორ უნდა მიაღწიონ სასურველ შედეგს. ამისათვის კი, მათ კანონი გარკვეულ ჩარჩოში ათავსებს - სახელშეკრულებო თავისუფლება მხოლოდ სამართლებრივ ფასეულობათა წესრიგის ფარგლებშია შესძლებელი“.<sup>5</sup>

ბათილი და საცილო გარიგების დადასტურების შესაძლებლობა განხილული უნდა იქნეს, როგორც სახელშეკრულებო თავისუფლების განვრცობის ერთ-ერთი გამოხატულება, ვინაიდან მხარეები კვლავ კერძო ავტონომიის ფარგლებში მესამე პირთა თუ ადმინისტრაციულ ორგანოთაგან დამოუკიდებლად წყვეტენ მათ შორის არსებული გარკვეული „სამართლებრივი ნაკლის“ მქონე გარიგების ბედს აქციონ თუ არა იგი ნმადვილად, და განახორციელონ თუ არა წინასწარ დასახული მიზანი.

კანონმდებელი საბოლოო შესაძლებლობას ანიჭებს მხარეებს თავიანი მოქმედების სფეროში დაარეგულირონ მათ შორის არსებული ურთიერთობა

---

<sup>1</sup> H.Közy, A. Flessner, T. Weir, European Contract Law, Vol. 1, Clarendon Press Oxford, 1997, p. 5.

<sup>2</sup> ლ. ჭანტურია, ხელშეკრულების თავისუფლება, ხელშეკრულების დადების ვალდებულება, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2001, გვ. 57.

<sup>3</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 319, პირველი ნაწილი.

<sup>4</sup> ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., გვ.60

<sup>5</sup> ბ.ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, საგამომცემლობა საქმის სასწავლო ცენტრი, თბ., 2005 გვ. 273.

და ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის გათვალისწინებით სამართლებრივ ჩარჩოში მოაქციონ, გარიგება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლი თავის კონსტრუქციაში აერთიანებს, როგორც ბათილი ასევე საცილო გარიგებათა დადასტურების შესაძლებლობას მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებულია მათი დადასტურების, როგორც წინაპირობები ასევე თანმდევი სამართლებრივი შედეგები. ამავდროულად გარკვეულ გაუგებრობას იწვევს თავად ნორმის დასახელება დადასტურების მნიშვნელობა გარიგებათა ბათილობისას, ერთი შეხედვით მისი შინაარსიდან გამომდინარე იქმნება სრულებით დასაბუთებული წარმოდგენა, რომ მხოლოდ ბათილი გარიგებების დადასტურებაა შესაძლებელი, თუმცა ნორმის მე-3 ნაწილი ადგენს, რომ თუ გარიგებას ადასტურებს შეცილების უფლების მქონე პირი, მაშინ იგი ამით კარგავს შეცლების უფლებას. აღნიშნულიდან გამომდინარე საცილო გარიგებათა დადასტურებაცაა შესაძლებელი, მაგრამ საცილო გარიგება ნამდვილია მის შეცილებამდე და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ნორმის დასახელება და შინაარსი ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

თემა საინტერესოა რამდენადაც მიუხედავად პრაქტიკული მნიშვნელობისა მისი თეორიული საფუძვლები საქართველოს სასამართლო პრაქტიკასა და ლიტერატურაში დეტალურად განხილული არ არის. ასევე მინდა ავღნიშნო, რომ აღნიშნულ ინსტიტუტთან მიმართებით ქართულ ენაზე არ მოიპოვება ცალკე აღებული ნაშრომი, სტატია, მონოგრაფია, თუ დისერტაცია.

სამაგისტრო ნაშრომში დასმულია ქართულ სამართლებრივ სივრცეში მითითებული ინსტიტუტის გამოყენების პრობლემა. ნორმატიული ბაზის ბუნდოვანება და ასევე სასამართლო პრაქტიკის სიმწირე წარმოადგენს გამოწვევებს აღნიშნული სამართლებრივი ინსტიტუტის სწორად იმპლემენტაციისა და განმარტების კუთხით. ნაშრომის მიზანი ქართულ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების დანახვა, ასევე, მათი შეცვლისა და ინტერპრეტაციის ეფექტური გზების ძიება გახლავთ.

კვლევისას გამოყენებულია შედარებითი სამართლებრივი ანალიზის მეთოდი, ასევე გამოყენებულია ლოგიკური, ისტორიული, ნორმატიულ-დოგმატური, სისტემური კვლევის მეთოდები. ნაშრომში წარმოდგენილი კვლევა მეტწილად ეფუძნება გერმანულ სამოქალაქო კოდექსში არსებულ მიდგომებს, პრაქტიკასა და დოქტრინას, რაც გასაკვირი არაა იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო კოდექსში დადასტურების ინსტიტუტის დამკვიდრება სწორედ გერმანიის სამოქალაქო კოდექსიდან რეცეფციის შედეგია.

## I დადასტურების ინსტიტუტის მიზანი და გამოყენების ფარგლები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლით განმტკიცებულია ბათილი და საცილო გარიგებათა დადასტურების შესაძლებლობა, აღნიშნული მოცემულობა ნორმის დასახელებიდან ნამდვილად არ იკვეთება თუმცა მუხლის შინაარსიდან გამომდინარე დადასტურების ინსტიტუტის მოქმედების ფარგლები ვრცელდება, როგორც ბათილ, ასევე საცილო გარიგებებზე. ნორმის არსებული სტრუქტურით არსებობა ნამდვილად არაა გამართლებული ვინაიდან ბათილი და საცილო გარიგებები ერთმანეთისაგან, მკვეთრად განსხვავებული ინსტიტუტია, როგორც არსობრივად ასევე კონცეპტულურად განსხვავდება - შესაბამისად განსხვავებულია მათი დადასტურების წინაპირობები და შედეგები. აღნიშნულთან მიმართებით ნაშრომში დეტალურად იქნება განხილული, როგორც ბათილი, ასევე საცილო გარიგებების კონკრეტული სახეები, რომლებსაც მიემართება დადასტურების ინსტიტუტი.

გარიგების დადასტურების აქტუალურობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ არასოდეს დგას, ვინაიდან იგი არის ერთ-ერთი ქმედითი ინსტრუმენტი ბათილობისა თუ საცილობის ეჭვის ქვეშ მყოფი გარიგებისა და მისი სამართლებრივი შედეგების შენარჩუნების - განმტკიცების შესაძლებლობაა.

დადასტურების უმთავრესი მნიშვნელობა და შეიძლება ითქვას უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილე მხარეებს კიდევ ერთხელ ეძლევათ საშუალება თანასწორობის საფუძველზე, კერძო ავტონომიის ფარგლებში კვლავ გამოხატონ ნება შეინარჩუნონ ან მიაღწიონ იმ სამართლებრივ მიზანს, რომლის განხორციელებაც ჰქონდათ განზრახული.

ნამდვილი გარიგებისაგან განსხვავებით გარიგება ბათილია, თუკი მას შედეგად არ მოჰყვება გარიგების მონაწილეების მიერ დასახული მიზანი იმის გამო, რომ მოქმედი სამართალი გამოვლენილ ნებას და განხორციელებულ ქმედებას სამართლებრივად უვარგისად მიიჩნევს.<sup>6</sup> ასეთი გარიგება არ წარმოშობს დასახულ სამართლებრივ შედეგებს არც მხარეთათვის და არც მესამე პირათათვის.<sup>7</sup> აღნიშნული გამომდინარეობს თავად ბათილი გარიგების კონცეფციიდან ვინაიდან ასეთი გარიგება რჩება „ნულად“ მიუხედავად მისი ბათილობის საფუძვლის აღმოფხვრისა.<sup>8</sup>

<sup>6</sup> შდრ. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 385.

<sup>7</sup> ბ.ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 61, გვ. 198

<sup>8</sup> Kohte, JuS 1984, 511.

ბათილი გარიგება, რომელიც დადასტურებული იქნა უფლებამოსილი პირის მიერ, განხილულ უნდა იქნეს, როგორც ახალი გარიგება.<sup>9</sup>

საცილო გარიგებათა დადასტურების შესაძლებლობა<sup>10</sup> განსაზღვრულია სსკ-ის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანხმად, შეცილებაზე უფლებამოსილი პირის მიერ. დადასტურება არ საჭიროებს მკაცრად განსაზღვრულ ფორმის დაცვას. ფორმის ამგვარი თავისუფლება მიანიშნებს, რომ ქმედებით აშკარად უნდა გამოიხატებოდეს კანონიერი გარიგების შენარჩუნებისა და მასში მონაწილეობის სურვილი,<sup>11</sup> საცილოობის საფუძვლის შესახებ არსებული ცოდნის მიუხედავად.<sup>12</sup> დადასტურების შედეგად ხდება შეცილების უფლებაზე უარის თქმა<sup>13</sup> და შეაბამისი ნების გაცხადება, რათა მოხდეს არსებული სამართალ ურთიერთობის შენარჩუნება.<sup>14</sup>

დადასტურებით ხდება შეცილების უფლებაზე უარის თქმა, რომელიც ხორციელდება ნების გამოვლენით, რაც აისახება შეცილების შესაძლებლობის ცნობასა თუ შეგნებაში. დადასტურების თაობაზე ნების გამოვლენა არ არის მიღებასავალდებულო, მაშასადამე, აუცილებელი არ არის მისი მოწინააღმდეგე მხარის მიმართ განცხადება.<sup>15</sup> დადასტურება შეიძლება ასევე განხორციელდეს კონკლუდენტური მოქმედებით, თუმცა, სასამართლო პრაქტიკა უფლებაზე უარის ფართომოქმედი შედეგის გამო ამ მხრივ მკაცრ მოთხოვნებს აყენებს: მოქმედება ცალსახად უნდა გამოხატავდეს დადასტურების ნებას და ნებისმიერი განსხვავებული გაგების შესაძლებლობა უნდა გამოირიცხოს.<sup>16</sup> ამდენად, შესრულების მიღება (მაგ., ქირავნობის საგნით სარგებლობა) და საპირისპირო შესრულების განხორციელება შეიძლება ჩაითვალოს დადასტურებად, თუმცა, აღნიშნული მოქმედებები დადასტურებად არ ითვლება, თუ ეს უკანასკნელი ხორციელდება მხოლოდ

---

<sup>9</sup> Monographisch M. Müller, Die Bestätigung nichtiger Rechtsgeschäfte, 1989.

<sup>10</sup> BGH NJW 1971, 1800; Medicus, Rn. 534.

<sup>11</sup> BGHZ 110, 222; BGH NJW-RR 1992, 779.

<sup>12</sup> BGHZ 129, 377; zumindest muss mit der Anfechtbarkeit gerechnet worden sein.

<sup>13</sup> Palandt/ Ellenberger, 71. Auflage 2012, § 144 Rn. 1; demgegenüber trennt Flume, § 31 sub 7, S. 568 f.; skeptisch Medicus, Rn. 534.

<sup>14</sup> Dazu Köhler, PdW, S. 125.

<sup>15</sup> სადავოა; განსხვავებული პოზიციაა, მაგ., Larenz/Wolf, §44 28-ე ველი. მითითებულია: მითითებულია იან კროპპოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, გვ. 70. თბილისი, 2014. შდრ: BGH NJW 1958, 177.

<sup>16</sup> BGHZ, 110, 220, 222. მითითებულია: იან კროპპოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, გვ. 70. თბილისი

ეკონომიკური საჭიროებიდან გამომდინარე ან დიდი ზიანის თავიდან ასაცილებლად.<sup>17</sup>

დადასტურების ინსტიტუტის დადგენით კანონმდებლის მთავარი მიზანი, და ინტერესი ემსახურება იმ სამართალ ურთიერთობის შენარჩუნებას, რომელიც მხარეთა შორის არსებობს, თუმცა გარკვეული სამართლებრივი პრობლემიდან გამომდინარე მას არ აქვს კანონიერ ძალა, მსგავსი ნაკლი, როგორც წესი გამოწვეულია ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლების დარღვევითა და კანონის იმპერატიულ მოთხოვნებთან თანხვედრაში არ ყოფნის გამო. დადასტურების გზით მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა აღმოფხვრან ის დაბრკოლებები, რომელთა გამოც წარმოიშვა ბათილობისა და საცილობის საფუძველი, შედეგად კი სავალდებულო ძალა მიანიჭონ გარიგებას.

თავისუფლება სამართლის ნორმაშია განსაზღვრული.<sup>18</sup> სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველი მხოლოდ სამართლის ნორმაში შეიძლება იყოს,<sup>19</sup> თავისუფლება იმის კეთების უფლებაა რაც დასაშვებია კანონით.<sup>20</sup> იგი ყოველთვის ძირითადი კანონიდან გამომდინარეობს,<sup>21</sup> თუმცა აღნიშნული ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს პირს შეუძლია საკუთარი ნების თავისუფლად განახორციელება, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.<sup>22</sup>

სწორედ კანონით განსაზღვრული აკრძალვებისა და დადგენილი ფარგლების დარღვევის შედეგია გარიგებათა შესაბამისი ბათილობა და საცილობა, თუმცა სწორედ ამგვარი ვითარების თავიდან ასარიდებლად ასევე, რომ არ მოხდეს მხარეთა სურვილის უფულებებელოფა - კანონმდებელი მხარეებს აძლევს სამართლებრივი ხარვეზის მქონე გარიგების გამოსწორების, კერძოდ კი დადასტურების შესაძლებლობას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად მხარეების უფლებამოსილნი არიან დადასტურონ როგორც ბათილი, ასევე საცილო გარიგება და მიაღწიონ იმ სამართლებრივ მიზანს რომელსაც მიზნად ისახავდნენ.

---

<sup>17</sup> მაგ., მხოლოდ შემცვლელი ნივთის მიწოდებამდე, შდრ. BGH NJW-RR, 1992, 779. მითითებულია იან კროპპოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, გვ. 70. თბილისი, 2014.

<sup>18</sup> იხ. ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ცნება სამართლის ჟურნალი № 1. თბილისი 2014, 270 გვ

<sup>19</sup> ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2005, 203.

<sup>20</sup> მონტესკიე შ. ლ., კანონთა გონი, რ. ფეიქრიშვილის თარგმანი, თბ., 1994, 180.

<sup>21</sup> შეად. Bäurele M., Vertragsfreiheit und Grundgesetz, 1. Aufl age, Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden, 2001, 121

<sup>22</sup> მონტესკიე შ. ლ., კანონთა გონი, რ. ფეიქრიშვილის თარგმანი, თბ., 1994, 213.



კანონმდებელს მხარეთათვის დადასტურების უფლების მინიჭებით, სურს შეინარჩუნოს უკვე არსებული ურთიერთობა და მხარეებს თავიანთი ავტონომიის ფარგლებში, მიანდოს არსებული სამართალურთიერთობის ბედ-ილბალის გადაწყვეტის პრობლემა, - მესამე პირთა თუ ორგანოთა ჩარევის გარეშე. ამ თვალსაზრისით დადასტურება ხელშეკრულების თავისუფლების ერთ-ერთი გამოხატულება ან ერთგვარი გაგრძელებაა, ვინაიდან ამ შემთხვევაშიც თავად ურთიერთობის მონაწილეთა ნებაზეა დამოკიდებული შეინარჩუნონ თუ არა არსებული „ხარვეზიანი“ გარიგება მისი გამოსწორებისა და შესაბამისად დადასტურების გზით.

დადასტურების ინსტიტუტის გამოყენების ფარგლები და შესაბამისი მიზნის განსაზღვრისათვის მიმაჩნია, რომ ვრცლად უნდა იქნეს განხილული კერძო ავტონომიისა და სახელშეკრულებო თავისუფლების საზღვრები, ვინაიდან სწორედ აღნიშნული თავისუფლებისა და კანონის მოთხოვნათა გამიზნულად თუ უნებლიედ დარღვევის შემთხვევაში დგება სწორედ გარიგების ბათილობისა და საცილობის საკითხი, რომლის ერთგვარი თანამდევი შედეგიცაა დადასტურება.

## **II კერძო ავტონომიისა და ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები დადასტურების ინსტიტუტთან მიმართებით**

კერძო ავტონომია კერძო სამართლის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს.<sup>23</sup> თითოეული სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობა სწორედ აღნიშნულ პრინციპზე დაყრდნობით ხორციელდება. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ კერძო სამართლის ცალკეულ დარგებში არსებული ურთიერთობის დროს, კერძო ავტონომიის რეალიზება ასეთი უფლების უმთავრეს სამართლებრივ წინაპირობას წარმოადგენს.<sup>24</sup> კერძო ავტონომიის სამართლებრივი ფორმირება, უპირველეს ყოვლისა, ხელშეკრულების თავისუფლებაში ხორციელდება.<sup>25</sup> ის ხელშეკრულების დადების უმთავრესი საფუძველია და სახელშეკრულებო ურთიერთობებზე გავლენას პირდაპირ ახდენს.<sup>26</sup>

<sup>23</sup> ძლიერიშვილი ზ., ფულადი ვალდებულების შესრულების თავისებურებანი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2005, გვ. 23.

<sup>24</sup> იხ. მაგალითად, შრომითსამართლებრივი ურთიერთობის შემთხვევაში: Richardi R., Arbeitsvertragsgesetz und Privatautonomie, NZA, Heft 17, Velag C.H. Beck, München, 1992, 772.

<sup>25</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2011, 91.

<sup>26</sup> ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2016, 45. [http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/disertaciebi\\_samartali/sergi\\_jorbenadze.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/sergi_jorbenadze.pdf)[22.06.2019].

ხელშეკრულება პიროვნების მიერ გამოვლენილი ნების რეალიზაციის საშუალებას/ ინსტრუმენტს წარმოადგენს.<sup>27</sup> იგი, როგორც ეკონომიკური საქმიანობის<sup>28</sup> განხორციელების ინსტრუმენტი, პიროვნების თავისუფლების საფუძველს წარმოადგენს.<sup>29</sup>

კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში ინდივიდის ნების ავტონომიის რეალიზაცია სხვა პირის (პირის ნების) შესატყვისი ბოჭვითაა უზრუნველყოფილი.<sup>30</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კერძო ავტონომიის ერთ-ერთ გამოვლინებას ნების ავტონომია წარმოადგენს, რომელიც სწორედ აღნიშნულ სამართლებრივ ინსტიტუტზეა დაფუძნებული.<sup>31</sup> აღნიშნული განსაზღვრავს მხარეთა უფლებამოსილებას, განახორციელონ კანონით აუკრძალავი ნებისმიერი ქმედება<sup>32</sup> და დადონ ხელშეკრულება.<sup>33</sup>

კერძო ავტონომიის საზღვრები კეთილსინდისიერებაზე, ეთიკასა და მორალზე გადის (უპირატესად, სსკ-ის 54-ე მუხლიდან გამომდინარე),<sup>34</sup> ხელშეკრულების თავისუფლებაც სწორედ აღნიშნულ დანაწესებს უნდა შეესაბამებოდეს. სხვა შემთხვევაში ხელშეკრულება, როგორც გარიგების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახე, ბათილად ჩაითვლება.<sup>35</sup>

---

<sup>27</sup> Enders C., Wiederin E., Rainer P., Sodan H., Der Sozialstaat in Deutschland und Europa, Peter M. Huber (Red.), De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2005, 365.

<sup>28</sup> მიუხედავად, ხელშეკრულების ამგვარი ეკონომიკური დანიშნულებისა, ეკონომიკური მიზნებისთვის ხელშეკრულება დამდგარ შედეგში ჰპოვებს (იქნება ეს ფინანსური თუ სხვ.). აღნიშნულის თაობაზე იხილეთ, Schäfer H.-B., Ott C., Lehrbuch der ökonomischen Analyse des Zivilrechts, 2. Auflage, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 1995, 341.

<sup>29</sup> Kittner M., Schuldrecht, Rechtliche Grundlagen – Wirtschaftliche Zusammenhänge, 3. Auflage, Verlag Franz Vahlen, München, 2003, 161.

<sup>30</sup> კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009, 80.

<sup>31</sup> იხ. იოსელიანი ა., სახელშეკრულებო საკოლიზიო სამართალი, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2011, 13 – ნების ავტონომიის ბუნების თაობაზე თეორიების საკითხის შესახებ იხილეთ ამავე ნაშრომის მე-12-15 გვერდები.

<sup>32</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2011, 90.

<sup>33</sup> ჭანტურია, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001, მუხლი 319, 57.

<sup>34</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 1 მარტის № ას-15-15-2016 განჩინება.

<sup>35</sup> ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2016, 47. [http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/disertaciebi\\_samartali/sergi\\_jorbenadze.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/sergi_jorbenadze.pdf)[22.06.2019].

ნაშრომის მიზნებისათვის ასევე უნდა გამახვილდეს ყურადღება კეთილსინდისიერების პრინციპზე, რომელიც სახელმწიკრულებო ურთიერთობისას გადამწყვეტ როლს თამაშობს.<sup>36</sup>

კეთილსინდისიერების პრინციპი საზოგადოებრივ ურთიერთობებში არსებული ნორმატიული ხარვეზების შევსებას ითვალისწინებს,<sup>37</sup> რაზე დაფუძნებითაც, დასახელებული პრინციპი როგორც მხარეთა ზნეობრივი მოვალეობა, შეიძლება იქნეს მოაზრებული.<sup>38</sup> აღნიშნული ეფუძნება მის ფუნქციას, თავიდან აიცილოს უსამართლო შედეგი.<sup>39</sup> ამდენად, შეიძლება ითვას, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი ხელშეკრულების თავისუფლებას ზღუდავს,<sup>40</sup> თუმცა ასეთი შეზღუდვა კანონიერ ფარგლებში ექცევა.<sup>41</sup>

ხელშეკრულების დადება ხელშეკრულების თავისუფლების რეალიზაციის უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენს.<sup>42</sup>

ხელშეკრულების დადება ხელშეკრულების თავისუფლების არსის რეალიზაციის მაგალითია, რომლითაც სახელმწიკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარეთა უფლებამოსილება დგინდება.<sup>43</sup> ეს კი ოფერტისა და

---

<sup>36</sup> ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2016, 49, [http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/disertaciebi\\_samartali/sergi\\_jorbenadze.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/sergi_jorbenadze.pdf) [22.06.2019].

<sup>37</sup> ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელმწიკრულებო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2014, 13, [http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/disertaciebi\\_samartali/nino\\_xunashvili.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/nino_xunashvili.pdf) [22.06.2019].

<sup>38</sup> ჯორბენაძე, ჭანტურია/ახვლედიანი/ზოიძე/ჯორბენაძე/ნინიძე (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999, მუხლი 115, 301.

<sup>39</sup> იხ. იოსელიანი ა., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელმწიკრულებო სამართალში (შედარებითსამართლებრივი კვლევა), „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2007, 32.

<sup>40</sup> ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელმწიკრულებო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2014, 13, [http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/disertaciebi\\_samartali/nino\\_xunashvili.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/nino_xunashvili.pdf) [22.06.2019].

<sup>41</sup> იქვე და შემდგომი.

<sup>42</sup> ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2016, 55, [http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/disertaciebi\\_samartali/sergi\\_jorbenadze.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/sergi_jorbenadze.pdf) [22.06.2019].

<sup>43</sup> იხ. Preis in Kündigungsrecht, Abscheid/Preis/Schmidt (Hrsg.), 4. Auflage, Verlag C. H. Beck, München, 2012, Rn. 3.

აქცეპტის შემთხვევაშია შესაძლებელი. <sup>44</sup> სწორედ შეთანხმებულ ნებაში ვლინდება მხარეთა მოქმედების ფარგლები,<sup>45</sup> რაზეც მხარეებს წარმოემოხაზება ინდივიდუალური ვალდებულებანი. <sup>46</sup> ასეთი მოსაზრების კვალად შესაძლებელია იმის თქმა, რომ ხელშეკრულება ოფერტისა და აქცეპტის ნაყოფს წარმოადგენს.<sup>47</sup>

კონტრაქტის მხრიდან ხელშეკრულების დადების ან დადებულად ცნობის თაობაზე ვარაუდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ფორმის სავალდებულოობა არაა სახეზე. <sup>48</sup> მოცემულ შემთხვევაში კი, თუ სავალდებულო ფორმა არაა დაცული, ე.ი. არაა დადებული ხელშეკრულება.<sup>49</sup> შესაბამისად, იზღუდება ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, რომლის ფარგლების გათვალისწინებითაც, ასეთ შემთხვევაში, შეზღუდვის მიზანშეწონილობა აბსოლუტურად გამართლებულია. <sup>50</sup> კონსენსუსის მიღწევის იურიდიული საშუალების – ოფერტისა და აქცეპტის გარეშე ხელშეკრულება დადებულად არ ჩაითვლება.<sup>51</sup> მაშასადამე, ოფერენტსა და აქცეპტანტს ხელშეკრულების დადებამდე ხელშეკრულების პირობების თავისუფლად განსაზღვრის უფლებამოსილება გააჩნიათ, რომლის ერთ-ერთ მაგალითს, ხელშეკრულების დადება ან დადებაზე უარის თქმა წარმოადგენს.<sup>52</sup>

---

<sup>44</sup> იხ. ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999, 14 და შემდგომი.

<sup>45</sup> ზოიძე ბ., სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა, უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში, ესეები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013, 57.

<sup>46</sup> იხ. ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მეათე გადამუშავებული გამოცემა, ბეკის გამომცემლობა, ლ. თოთლაძის თარგმანი, მ. ტურავა (რედ.), ჯგუფი „სიესტა“ (ტექ. უზრუნველყოფა), თბილისი, 2009, 3.

<sup>47</sup> ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2016, 56. [http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/disertaciebi\\_samartali/sergi\\_jorbenadze.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/sergi_jorbenadze.pdf) [22.06.2019].

<sup>48</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 9 მარტის №ას-898-848-2015 განჩინება.

<sup>49</sup> იქვე.

<sup>50</sup> ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2016, 57.

<sup>51</sup> იხ. ჭანტურია ლ., ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001, მუხლი 327, 86.

<sup>52</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 9 მარტის №ას-898-848-2015 განჩინება.

ვინაიდან ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრისთვის მისი პირობების გაწერაა საჭირო,<sup>53</sup> ხელშეკრულებაც სწორედ გარიგების მონაწილეების ნების გარკვევის საფუძველზე განიმარტება,<sup>54</sup> რომლისთვისაც საჭიროა ოფერტისა და აქცეპტის არსებობა.<sup>55</sup>

თავისუფლება იმის კეთების უფლებაა, რაც დასაშვებია კანონით.<sup>56</sup> კანონით დასაშვები თავისუფლების ფარგლები, კაცობრიობასთან ერთად იცვლება და ვითარდება. <sup>57</sup> თავისუფლება ყოველთვის ძირითადი კანონიდან გამომდინარეობს,<sup>58</sup> თუმცა აღნიშნული ისე უნდა იქნეს გაგებული, თითქოს პირს შეუძლია საკუთარი ნების თავისუფლად განხორციელება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.<sup>59</sup>

„ხელშეკრულების თავისუფლება თავისუფლების ერთ-ერთი გამოვლინებაა“,<sup>60</sup> რაც სამოქალაქოსამართლებრივი სუბიექტის შეზღუდულ უფლებას წარმოადგენს.<sup>61</sup> ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სახელშეკრულებო სამართალი თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების წინაპირობაა,<sup>62</sup> ხოლო ამ ასპექტში ხელშეკრულების თავისუფლების სამართლებრივი ინსტიტუტი გადამწყვეტ როლს თამაშობს.<sup>63</sup>

---

<sup>53</sup> ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999, 22.

<sup>54</sup> ოსელიანი ნ., ხელშეკრულების განმარტება, გამომცემლობა იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“ თბილისი, 2008, 16.

<sup>55</sup> იხ. Eckert H.-W. in Beck'scher Online-kommentar BGB, Hrsg: Bamberger/Roth, Stand: 01.08.2013, Edition: 28, §145, Rn. 2 [www.beck-online.beck.de](http://www.beck-online.beck.de) [27.05.2019].

<sup>56</sup> მონტესკიე შ. ლ., კანონთა გონი, დ. ლაბუჩიძე-ხოფერიას თარგმანი, ნ. ნათაძე, ო. ჯიოვეი (რედ.), მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი, 1994, 180.

<sup>57</sup> იხ. Friedmann L. M., Law in America, a Short History, Modren Library Paperback Edition, New York, 2004, 38.

<sup>58</sup> იხ. Bäurele M., Vertragsfreiheit und Grundgesetz, 1. Auflage, Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden, 2001, 121.

<sup>59</sup> მონტესკიე შ. ლ., კანონთა გონი, დ. ლაბუჩიძე-ხოფერიას თარგმანი, ნ. ნათაძე, ო. ჯიოვეი (რედ.), მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი, 1994, 213.

<sup>60</sup> ზოიძე ბ., სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა, უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში, ესეები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013, 57.

<sup>61</sup> ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის ცალკეული სამართლებრივი ინსტიტუტების მოქმედება შრომის კოდექსთან მიმართებით, სამართლის ჟურნალი „სარჩევი“ #1-2 (2012), დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2013, 19.

<sup>62</sup> Younkins E., Freedom to Contract, Liberty Free Press, June 15, 2010 <<http://www.quebecoislibre.org/younkins25.html>>[08.07.2019].

<sup>63</sup> იხ. იქვე.



ხელშეკრულების თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც სახელშეკრულებო პირობებიდან და კანონიდან გამომდინარე მისი შესრულება შეუძლებელი იქნება.<sup>64</sup>

ხელშეკრულების თავისუფლება სსკ-ით მინიჭებული უფლებათა, რომლითაც მხარეებს შეუძლიათ თავად იკისრონ ვალდებულებანი, თუ რა მოქმედებას განახორციელებენ სამომავლოდ. ასეთ ქმედებას სახელშეკრულებო თვითბოჭვა ეწოდება,<sup>65</sup> რაც მხარეთა მიერ ხელშეკრულებაში სასურველი შინაარსის განსაზღვრასა და სასურველ კონტრაქტთან ხელშეკრულების დადებაში გამოიხატება.<sup>66</sup> სსკ არ შეიცავს ხელშეკრულებათა სახეების სრულ ჩამონათვალს, რაც ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინებაა.<sup>67</sup> მეტიც, ამავე სამართლებრივი ინსტიტუტის საფუძველზე დღითი დღე იზრდება ისეთი ხელშეკრულებების რაოდენობა, რომლებიც არ წარმოადგენს კლასიკური ხელშეკრულების<sup>68</sup> სახეს.

ხელშეკრულების ბუნებიდან გამომდინარე, იგი შეიძლება გავრცელდეს როგორც ინდივიდუალურად ორი კონკრეტული პირის მიმართ,<sup>69</sup> ისე პირთა უფრო ფართო წრეზე. ამდენად, ხელშეკრულება უნდა მივიჩნიოთ როგორც ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა ნების ფორმირების იურიდიულ საშუალებად. ნების ამგვარი ფორმირება (შეთანხმების მიღწევის თვალსაზრისით) უშვებს თავისუფლებას და პარალელურად, შეთანხმებული შინაარსის ფარგლებში ზღუდავს მას.<sup>70</sup>

---

<sup>64</sup> BGH, Urteil vom 4.2.2013 – II ZR 134/11.

<sup>65</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2011, 91.

<sup>66</sup> იხ. Kötz H., Vertragsrecht, 2. Auflage, Verlag Mohr Siebeck, Tübingen, 2012, 18.

<sup>67</sup> იხ. შენგელია ი., სახელშეკრულებო თავისუფლება, როგორც სამოქალაქო სამართლის პრინციპი, არსი და მნიშვნელობა, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, #4(23)'09, თბილისი, 2009, 46

<sup>68</sup> იხ. ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2016, 98.

<sup>69</sup> Schliemann H., Tarifliches Günstigkeitsprinzip und Bindung der Rechtsprechung, NZA, Heft 3, Verlag C.H. Beck, München, 2003, 124.

<sup>70</sup> Meller-Hannich C., Verbraucherschutz im Schuldvertragsrecht, Private Freiheit und staatliche Ordnung, Verlag Mohr Siebeck, Tübingen, 2005, 8 – citata: `[...] Bindung bedeutet Selbstverantwortung für die getroffene Entscheidung. Wer einen Schuldvertrag mit einem bestimmten Inhalt und bestimmten Vertragspartner schließt, ist an diesen gebunden, hat ihn zu erfüllen und kann ohne Verletzung seiner vertraglichen Pflichten keine widersprechende Verpflichtung erfüllen. Die Freiheit dient der Bindung und wird durch diese verwirklicht; die Bindung setzt Freiheit voraus und beschränkt sie gleichzeitig`.

„ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხელშეკრულების თავისუფლების ცნება ეფუძნება საკონსტიტუციო და კერძოსამართლებრივ პრინციპებს, რომლისთვისაც ერთი მხრივ, კერძო ავტონომიის ფარგლებში თავისუფლების მოქმედების არეალია განსაზღვრული, ხოლო, მეორე მხრივ, იგი საკონსტიტუციო დონეზე მოწესრიგებულ სამართლებრივ ნორმებს ეფუძნება.“<sup>71</sup>

თავისუფლება არსებობს ყველა სფეროში, ყველა დარგში, ხოლო მისი დაცვის ვალდებულება სახელმწიფოს აკისრია. თავისუფლება ეფუძნება კანონს,<sup>72</sup> თუმცა კანონი თავისუფლებას თავისუფლას ვერ გახდის. მისი ვალდებულებაა შეზღუდოს იგი. თავისუფლება არ შეიძლება იყოს აბსოლუტური.<sup>73</sup>

მისი შეზღუდვის ფარგლების დადგენა სწორედ კანონის უპირველესი ვალდებულებაა, რომლის პრაქტიკული განხორციელება მაშინ უნდა მოხდეს, როდესაც თავისუფლების განხორციელებამ შეიძლება მესამე პირის უფლება შეზღუდოს.<sup>74</sup>

### III გარიგებათა ბათილობა

ზოგადი წესის თანახმად, ბათილი გარიგება არ წარმოშობს იურიდიულ შედეგს. გამონაკლისია ის იურიდიული შედეგი, რომელიც უკავშირდება ბათილი გარიგების შედეგად უსაფუძვლოდ მიღებულის დაბრუნებას. ბათილი გარიგება ბათილად ითვლება დადების მომენტიდან. შესაბამისად, ბათილი გარიგება არ წარმოადგენს იურიდიულ ფაქტს მიუხედავად მისი ბათილობის საფუძვლის აღმოფხვრისა.<sup>75</sup> გარიგების ბათილობის შედეგის იურიდიული ბუნებისადმი ამგვარი მიდგომა წარმოშობს ორ პრობლემას: 1. გარიგების ბათილობის მიუხედავად იგი არ შეიძლება მივიჩნიოთ ნულად, განუხორციელებელ მოქმედებად<sup>76</sup>, რადგან ხშირად ბათილი გარიგების საფუძველზე ადგილი აქვს შესრულებას და 2. გარიგების ბათილობის შედეგი

<sup>71</sup> ჯორჯენაძე ს, ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2016, 103.

<sup>72</sup> იქვე: Ллойд Д., Идея права, перевод с английского, М. А. Юмашева, Ю. А. Юмашев, Юмашев, М. Югона, М., 2002, 158.

<sup>73</sup> Di Fabio U., Sicherheit in Freiheit, NJW, Heft 7, Verlag C.H. Beck, München, 2008, 422.

<sup>74</sup> შეად. Singer R., Vertragsfreiheit, Grundrechte und der Schutz des Menschen vor sich selbst, Juristische Zeitung (JZ), 50. Jahrgang, 1. 1995, 23, 1133.

<sup>75</sup> Kohte, JuS 1984, 511.

<sup>76</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2011, 387

თავისი არსით ისეთია, რომ არ უშვებს გარიგების გაჯანსაღების (კონვალიდაციის) შესაძლებლობას.

სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს ბათილი გარიგების რამდენიმე ფორმას: უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება (54, 55, 56 I, 57, 58, 59, 61 I), ნაწილობრივ ბათილი გარიგება (62) და მერყევად ბათილი გარიგება (63 I).<sup>77</sup>

უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება ეწოდება ისეთ გარიგებას, რომელიც დადებისთანავე ბათილია და მონაწილეთა მიერ განზრახულ სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს (61 I).<sup>78</sup> ასეთი გარიგებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი არ დადგება არც გარიგების უშუალო მონაწილეების და არც მესამე პირების მიმართ. გარიგება დადებისთანავე ბათილია და მას ნამდვილად ვერ გადააქცევს ვერც გარიგების მონაწილეთა შემდგომი მოქმედება, ვერც სახელმწიფო ორგანოს მხრიდან მოწონება ან სასამართლოს გადაწყვეტილება.

კანონი არ ითვალისწინებს ბათილი გარიგების გამოსწორების შესაძლებლობას. გამონაკლისს წარმოადგენს მერყევად ბათილი გარიგებები (63 I).<sup>79</sup>

ბათილი გარიგების ბათილად მიჩნევისათვის არ არის სავალდებულო რაიმე პროცედურის დაცვა: შეცილება, გარიგების ბათილობის მოთხოვნა ან სასამართლოს მიერ მისი მიჩნევა ბათილად, რადგან უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება ბათილად ითვლება მისი დადების მომენტიდან.<sup>80</sup>

„ნაწილობრივად ბათილია გარიგება, თუკი ის მთლიანობაში ნამდვილია, მაგრამ მისი ესა თუ ის ნაწილი სამართლებრივად უვარგისია და ეს არ იწვევს მთლიანად გარიგების ბათილობას.

ნაწილობრივად ბათილი გარიგებების შემთხვევაში 54-ე მუხლის შინაარსი გავრცელდება გარიგების ერთ ან რამდენიმე ნაწილზე, თუკი ამ ნაწილების ცალკე გამოყოფა შესაძლებელია ისე, რომ ამან არ გამოიწვიოს მთლიანად გარიგების ბათილობა.“<sup>81</sup>

<sup>77</sup> შდრ. ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 385-393

<sup>78</sup> იხ. 54 მუხლის კომენტარი.: ბათილი და უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება სინონიმებს წარმოადგენს და სამართლებრივად მათ შორის განსხვავება არ არსებობს.

<sup>79</sup> ლადო ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 54, ველის ნომერი 7.

<sup>80</sup> № ას-1383-1400-2011 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება 24.10.2011 წელი

<sup>81</sup> იქვე.



მერყევად ბათილია გარიგება, რომელიც დადების მომენტში ბათილია, მაგრამ შეიძლება გახდეს ნამდვილი, თუკი უფლებამოსილი პირი მოიწონებს მას (63 I). უცილოდ ბათილი გარიგებისაგან განსხვავებით, გარიგების მონაწილეებს შეუძლიათ გარიგების დადებისას დაშვებული შეცდომის ან ნაკლის გამოსწორება, რის შედეგადაც გარიგება ნამდვილი გახდება.

ამ სახის გარიგების თავისებურება ისაა, რომ გარიგება მერყეობს ნამდვილობასა და ბათილობას შორის.<sup>82</sup> კანონი განსხვავებულად აწესრიგებს საკითხს იმის შესახებ, თუ როდიდან უნდა ჩაითვალოს მერყევად ბათილი გარიგება ნამდვილად: დადების მომენტიდან თუ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნის შესრულების მომენტიდან. ამიტომ ეს საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამოუკიდებელი შემოწმების საგანია.

ფარდობითად ბათილ გარიგებად შეიძლება ჩაითვალოს გარიგება, რომელიც მთლიანობაში ნამდვილია, მაგრამ კონკრეტული პირის ან პირების მიმართ მას იურიდიული ძალა არა აქვს.<sup>83</sup>

## 1. მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებანი

„54-ე მუხლი შეიცავს გარიგების შინაარსის კონტროლის განმსაზღვრელ ცენტრალურ ნორმას და განამტკიცებს კერძო ავტონომიის შეზღუდვის რამდენიმე შემთხვევას. გარიგება შეიძლება ბათილი იყოს იმის გამო, რომ მისი შინაარსი ეწინააღმდეგება კანონს, საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.“<sup>84</sup> გარიგების ბათილობა კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგია. ამიტომ გარიგების ბათილობის მიზეზები, მოსალოდნელი შედეგები, გარიგების ნაკლის გამოსწორების ჩათვლით, კანონით განისაზღვრება. ამის შესაბამისად ერთმანეთისაგან განსხვავდება ბათილი გარიგების სახეები.

სსკ-ის 54-ე მუხლი, თავისი არსით, გარიგების შინაარსის კონტროლს ეხება.<sup>85</sup> იგი აწესრიგებს შემთხვევას, როდესაც „კანონით დადგენილი წესებისა და

<sup>82</sup> ლადო ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 54, ველის ნომერი 9.

<sup>83</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 54, ველის ნომერი 10.

<sup>84</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლის 54, ველის ნომერი 1.

<sup>85</sup> იქვე.

აკრძალვების“ ხელყოფა ხდება; ასევე, მოქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება „საჯარო წესრიგს“ და, ქმედება, რომლის დროსაც ნება ზნეობის ნორმების საწინააღმდეგოდ ვლინდება.<sup>86</sup>

გარიგების თავისუფლების შეზღუდვის ამგვარი არეალი კერძო სამართალში წესრიგის დამყარებისკენ მიმართულ ქმედებად უნდა იქნეს შეფასებული.<sup>87</sup>

სსკ-ის 54-ე მუხლი არ აკონკრეტებს, თუ რომელი კანონის დარღვევაზე, ან საკანონმდებლო აკრძალვაზეა საუბარი. შედეგად, შესაძლებელია, მასში ივარაუდებოდეს ყველა ის კანონი, რომელსაც მნიშვნელობა აქვს გარიგების შინაარსის განსაზღვრისას და, რომელიც მისი მართლზომიერების საზომად გამოიყენება,<sup>88</sup> ასევე, ხელშეკრულებით მიღწეული შეთანხმება, წესდება<sup>89</sup> და სხვა. იმისთვის, რომ ხელშეკრულების თავისუფლებამ რეალიზაცია ჰპოვოს, საჭიროა მისი კანონის ფარგლებში მოქცევა.<sup>90</sup> ასეთად კი შეიძლება გამოდგეს შინაარსის, ფორმის, მხარის და ა.შ. არჩევის / განსაზღვრის თავისუფლების შეზღუდვა როგორც კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, ისე აკრძალვის დაწესებით. რაც შეეხება აკრძალვის დანიშნულებას, იგი შეიძლება სხვადასხვა მიზანს ემსახურებოდეს. ასეთ შემთხვევაში, როგორც რელატიური, ისე, აბსოლუტური აკრძალვა<sup>91</sup> თავის როლს თამაშობს საბოლოო შედეგის განსაზღვრაში.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო ხელშეკრულებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ქვეყნის სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვ. მოწესრიგების

---

<sup>86</sup> ზოიძე ბ., ჭანტურია/ახვლედიანი/ზოიძე/ჯორბენაძე/ნინიძე (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999, მუხლი 54, 176.

<sup>87</sup> ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2016, 93. [http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/disertaciebi\\_samartali/sergi\\_jorbenadze.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/sergi_jorbenadze.pdf) [22.06.2019].

<sup>88</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2011, 351-352.

<sup>89</sup> კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თორნიკე დარჯანიასა და ზურაბ ჭეჭელაშვილის თარგმანი, თბილისი, 2014, §134, ვნ. 2.

<sup>90</sup> ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2016, 94. [http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/disertaciebi\\_samartali/sergi\\_jorbenadze.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/sergi_jorbenadze.pdf) [22.06.2019].

<sup>91</sup> რელატიური და აბსოლუტური აკრძალვის თაობაზე იხილეთ, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 54, ველის ნომერი 20-22.

წინააღმდეგ მიმართული შინაარსის მქონე ხელშეკრულება.<sup>92</sup> ასეთი ზოგადი განმარტება ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის ფართო შესაძლებლობას იძლევა, თუმცა ეს, თითოეულ შემთხვევაში ცალკეულ სამართლებრივ ურთიერთობათა საფუძველზე უნდა მოხდეს.

ზნეობის საწინააღმდეგო დათქმის მქონე ხელშეკრულების შესახებ პოზიციის დაფიქსირება ყველაზე რთულია. ასეთ დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს მოქმედ ადათ-ჩვეულებებსა და იმ ზნეობრივ ღირებულებებზე, რომელიც ერთი მხრივ, დამკვიდრებულია საზოგადოებაში, ხოლო, მეორე მხრივ, ასახავს რეალობას.

ზნეობრივი ნორმების განსაზღვრისთვის არასაკმარისია მხოლოდ ადათ-ჩვეულებების მხედველობაში მიღება, არსებითად მსგავსი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივ-ეთიკური პრინციპების გათვალისწინება, მაგალითად, როგორცაა საკონსტიტუციოსამართლებრივი პრინციპები<sup>93</sup> და სხვ. ასეთ შემთხვევაში, უმთავრეს საფუძვლად კეთილსინდისიერება და ქცევის შესაბამისი სტანდარტი უნდა იქნეს მოაზრებული.<sup>94</sup>

კეთილსინდისიერების, საჯარო წესრიგისა და კანონსაწინააღმდეგობის საკითხთან მიმართებით ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდული ფარგლები მთლიანი კერძო სამართლის დაცვის გარანტიად წარმოგვიდგება. სხვა შემთხვევაში, ხელშეკრულების თავისუფლებას უსაზღვრო იქნებოდა. ფარგლებს მიღმა არსებული სამართალი, თუნდაც სახელშეკრულებო ურთიერთობაში აისახებოდეს, კლასიკური გაგებით არ წარმოადგენს დამოუკიდებელ ინსტიტუტს. მეტიც, ასეთ დროს თავისუფლება თავის თავს კარგავს და იგი სამართლის გარეთ მოქმედ უწესრიგობის ნაწილად იქცევა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერების, საჯარო წესრიგისა და კანონსაწინააღმდეგობის შემთხვევაში ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა პოზიტიურ შეზღუდვად უნდა იქნეს მიჩნეული.<sup>95</sup> ასეთ დროს არ

---

<sup>92</sup> იხ. მაგალითად Lohs M.M., Grenzen der Vertragsfreiheit im polnischen Zivilrecht, Verlag Peter Lang, Frankfurt am Main, 2000, 44.

<sup>93</sup> კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თორნიკე დარჯანიასა და ზურაბ ჭეჭელაშვილის თარგმანი, თბილისი, 2014, §138, ვნ. 1.

<sup>94</sup> იქვე.

<sup>95</sup> Becker M., Absurde Verträge, Verlag Mohr Siebeck, Tübingen, 2013, 81.

გვხვდება მხარის იძულება, მიუხედავად მისი სურვილისა, დადოს ხელშეკრულება<sup>96</sup> და სხვ.

კანონის, ზნეობისა და საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო შინაარსის დათქმის მქონე გარიგებათა გამიჯვნა ერთმანეთისგან ხშირად გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. საჯარო წესრიგისა და ზნეობის საწინააღმდეგო გარიგებებს შორის განსხვავება პრობლემურია არა მხოლოდ ევროპულ, არამედ აზიურ სამართალში - მაგალითად, იაპონიის სამართალში<sup>97</sup> და სხვ.

კანონსაწინააღმდეგო გარიგებებზე საუბრისას შესაბამისი განმარტების გაკეთება შედარებით ადვილია. ასეთ დროს ამოსავალ წერტილად მიიჩნევა კონკრეტული ნორმა, რომლის დარღვევისთვისაც შეიძლება გარიგება ბათილად იქნეს მიჩნეული. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, საკითხის გადაწყვეტისას ისე არ უნდა იქნეს იგი გაგებული, რომ თითქოს ნებისმიერი საკანონმდებლო აკრძალვა შეიძლება გახდეს ხელშეკრულების ბათილად აღიარების მიზეზი. უცხოენოვან იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამკრძალავი ნორმის დანიშნულება ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა არ არის, არამედ მისი ე.წ. „გვერდითი შედეგია“.<sup>98</sup> აღნიშნულისგან განსხვავდება მავალდებულებელი ნორმა, რომლის მიზანსაც, კერძო ავტონომიის შეზღუდვა წარმოადგენს<sup>99</sup> და რომლის ფარგლებშიც, ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა ხდება.

რაც შეეხება, ზნეობრივი ნორმებისა და საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო დათქმებს, იგი კონკრეტულ მაგალითზე დაფუძნებით უნდა იქნეს განხილული და არ უნდა მოხდეს განზოგადება. კერძოდ, საკითხის შესწავლისას, განხილულ უნდა იქნეს: ა) თუ რამდენად შეიძლება შეექმნას პრობლემა საჯარო წესრიგს (დაირღვეს იგი) და ბ) რამდენად შეიძლება დამკვიდრებული ადათ-ჩვეულებების წინააღმდეგ არსებულმა დათქმამ სამართლებრივი შედეგი გამოიწვიოს. ორივე შემთხვევაში, მსჯელობისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ობიექტური გარემოება<sup>100</sup> და არა

<sup>96</sup> Becker M., Absurde Verträge, Verlag Mohr Siebeck, Tübingen, 2013, 81, სადაც მაგალითად მოყვანილია, გსკ-ის 617-ე მუხლი (Pflicht für Krankenfürsorge \_) დისპანსერული მოვლის ვალდებულება.

<sup>97</sup> Dernauer M., Verbraucherschutz und Vertragsfreiheit im japanischen Recht, Verlag Mohr Siebeck, Tübingen, 2006, 154.

<sup>98</sup> Ulrici B., Verbotsgesetz und zwingendes Gesetz, JuS, Heft 12, Verlag C.H. Beck, München, 2005, 1076.

<sup>99</sup> იქვე.

<sup>100</sup> კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თორნიკე დარჯანიასა და ზურაბ ჭეჭელაშვილის თარგმანი, თბილისი, 2014, §138, ვნ. 2.

ცალკეულ პირთა სუბიექტური მოსაზრებები და შეხედულებები. მაგალითად, ადათ-ჩვეულებად შეიძლება პირს მიაჩნდეს ისეთი სახის ქმედება, რომელიც ობიექტური კრიტერიუმით, არ აღიქმება რაიმე სახის ზნეობრივი ხასიათის მატარებლად.<sup>101</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში დაფიქსირებული უმეტესი მოსაზრება აბსოლუტურ შესაბამისობაში მოდის თეორიაში გამოთქმულ მოსაზრებებთან, რომლებიც შინაარსის განსაზღვრას, როგორც ხელშეკრულების თავისუფლების ერთ-ერთ პრინციპს, ეხება. კერძოდ, სასამართლო მიიჩნევს, რომ შინაარსის თავისუფლად განსაზღვრით მხარეები დამოუკიდებლად თანხმდებიან ხელშეკრულების ყველა მნიშვნელოვან საკითხზე,<sup>102</sup> რაც მხარეთა ავტონომიურობის პრინციპის გამოხატულებაა.<sup>103</sup>

ხელშეკრულება ყოველდღიურ ურთიერთობაში დიდ როლს თამაშობს. მეტიც, რიგ შემთხვევაში შესაძლებელია ქვეყნის ეკონომიკურ ბაზარზე კონკურენციის გამომწვევი მიზეზი გახდეს, რომლის საფუძველზეც, ეს სამართლებრივი ურთიერთობა ეკონომიკური დატვირთვის მატარებელი შეიძლება გახდეს.<sup>104</sup> თავის მხრივ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად იზღუდება მისი მონაწილე ყველა მხარე და მეორე მხარის უფლებების მიმართ განსაკუთრებული გულსიხმიერების გამოჩენის გარდა, სამართლებრივი ქმედების განხორციელების ვალდებულებაც წარმოეშობათ. ამ მხრივ, მორალურ ფაქტორებს არ გააჩნია ისეთი მნიშვნელოვანი როლი, როგორც ხელშეკრულებაში გაწერილ შინაარსს, თუმცა მეორე მხარის უფლებებისადმი პატივისცემა შესაძლებელია მისი უფლებების დაცვით განხორციელდეს.<sup>105</sup>

54-ე მუხლით განზაღვრული არაა კანონის ცნება, შესაბამისად იგი უნდა იქნეს ფართოდ განმარტებული, ვინაიდან მასში მოიაზრება როგორც კანონი ფორმალური გაგებით,<sup>106</sup> ისე მატერიალური გაგებით, ე.ი. ყველა

<sup>101</sup> ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2016, 98. [http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/disertaciebi\\_samartali/sergi\\_jorbenadze.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/sergi_jorbenadze.pdf) [22.06.2019].

<sup>102</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 21 ნოემბრის № 3კ-681-03 განჩინება.

<sup>103</sup> იგივე განჩინება.

<sup>104</sup> იხ. ჯორბენაძე ს., ფრენშაიზინგის ხელშეკრულება, თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, თბილისი, 2000, 6.

<sup>105</sup> იხ. ზოიძე ბ., სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა, უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში, ესეები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013, 79.

<sup>106</sup> იხ. ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 2.

ნორმატიული აქტი, რომელიც გარიგების შინაარსის განსაზღვრისათვის რელევანტურ ნორმებს შეიცავს. კანონის ასეთი გაგება შეესაბამება 2 I, III მუხლის შინაარსს.<sup>107</sup>

54-ე მუხლი ერთმანეთისაგან განასხვავებს კანონით დადგენილი წესისა და კანონით დადგენილი აკრძალვის დარღვევას. კანონით დადგენილი წესის დარღვევა ყოველთვის შეიძლება არ იწვევდეს გარიგების ბათილობას. ამიტომ ამ წესის დარღვევის სამართლებრივი შედეგი განმარტების საფუძველზე უნდა დადგინდეს.

თუ სხვა რამ არ გამომდინარეობს ამკრძალავი კანონიდან, გარიგება, რომელიც ამკრძალავ კანონს ეწინააღმდეგება, ბათილია.<sup>108</sup> კანონი ამკრძალავად ჩაითვლება, თუკი მისი ნორმა გარიგების შინაარსს ან ასეთი გარიგების დადებას დაუშვებლად მიიჩნევს.<sup>109</sup>

გარიგება ბათილად ითვლება მისი დადების მომენტიდან, თუკი ის დადებისას არღვევს კანონით დადგენილ აკრძალვას ან წესს (61 I). თუ ამკრძალავი კანონი გარიგების დადების შემდეგ იქნა მიღებული, მაშინ კანონი მოქმედებს სამომავლოდ, მას არა აქვს უკუქცევითი ძალა (6). ამიტომ, აღიარებული შეხედულების თანახმად, გარიგების ნამდვილობა ამკრძალავი კანონის მოგვიანებით მიღებით არ დგება ეჭვქვეშ.<sup>110</sup> ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა კანონს უკუქცევითი ძალა თვით კანონითვე აქვს მინიჭებული.

თუ გარიგება მისი დადებისას კანონსაწინააღმდეგობის გამო ბათილი იყო, ხოლო ეს კანონი მოგვიანებით გაუქმდა, გარიგება მაინც ბათილი რჩება და ეს არ იწვევს მის ნამდვილობას.<sup>111</sup>

საჯარო წესრიგის ლეგალურ დეფინიციას სამოქალაქო კოდექსი არ განამტკიცებს. სასამართლო პრაქტიკა ცდილობს საჯარო წესრიგის ცნების დაკონკრეტებას, თუმცა არცთუ ისე წარმატებულად.<sup>112</sup> ამიტომ ამ საკითხში ქართული ლიტერატურა სხვა მართლწესრიგების სამართლებრივი შედარებით შემოიფარგლება.<sup>113</sup>

---

<sup>107</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 54, ველის ნომერი 13.

<sup>108</sup> იქვე: შდრ. Wendtland, in Beck OK BGB, 27. Aufl. Stand 01.05.2013, § 134 Rn. 12.

<sup>109</sup> იქვე: შდრ. Rütters/Stadler, Allgemeiner Teil des BGB, 16. Aufl. § 26 I 1 Rn. 2.

<sup>110</sup> შდრ. Staudinger/Sack (2003) § 134 Rn. 55.

<sup>111</sup> შდრ. Staudinger/Sack (2003) § 134 Rn. 55

<sup>112</sup> საქ. უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 18 ნოემბრის № ას-533-786-08 განჩინება.

<sup>113</sup> შდრ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 357-359.

რთულია იმის დადგენა, ეწინააღმდეგება თუ არა გარიგება საჯარო წესრიგს. თუ გარიგება ეწინააღმდეგება კონკრეტულ კანონს, მაშინ იარსებებს კანონსაწინააღმდეგო გარიგება და არ დადგება საჯარო წესრიგთან მიმართებაში გარიგების ნამდვილობის შემოწმების საკითხი.

დოქტრინული ცნების თანახმად, საჯარო წესრიგის ცნებაში იგულისხმება სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპები, როგორცაა საკუთრების, ხელშეკრულებისა და მეწარმეობის თავისუფლება, რომელთა დარღვევით ილახება არა მხოლოდ ურთიერთობის კონკრეტული მონაწილის უფლებები, არამედ სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესები.<sup>114</sup>

საჯარო წესრიგის დარღვევით ილახება არა მხოლოდ ურთიერთობის კონკრეტული მონაწილის უფლება, არამედ იგი ვნებას აყენებს (ვნებს), პირველ რიგში, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს.<sup>115</sup>

მესამე ფასეულობა, რომლის დარღვევაც იწვევს გარიგების ბათილობას, არის ზნეობა. კერძოდ, ზნეობის ნორმების საწინააღმდეგოდ დადებული გარიგება ბათილია. ზნეობასთან დაკავშირებით 54-ე მუხლის შეიცავს ზოგად ნორმას, რომლის დაკონკრეტება სასამართლო პრაქტიკაზეა დამოკიდებული.

თუ გარიგებათა აღიარება კანონსაწინააღმდეგოდ შედარებით მარტივია, რადგან შეფასების საზომად გამოიყენება კანონის კონკრეტული ნორმები, ზნეობის ნორმების დაკონკრეტება და გარიგების შემოწმება მათზე საკმაოდ რთულია. მთავარი პრობლემა არის იმის დადგენა, თუ რა არის ზნეობა და ზნეობის საწინააღმდეგო გარიგება.<sup>116</sup>

გარიგების ბათილობა არ შეიძლება იმაზე იყოს დამოკიდებული, იცოდნენ თუ არა გარიგების მონაწილეებმა, რომ ზნეობის საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ.<sup>117</sup>

ზნეობის დამატებითი შინაარსობრივი კრიტერიუმების არარსებობის გამო გარიგების ბათილობის საზომად ზნეობის გამოყენება მიზანშეუწონლად არის მიჩნეული ქართულ ლიტერატურაში.<sup>118</sup> სხვა მოსაზრების თანახმად, ხელშეკრულება მაშინ უნდა იქნეს აღიარებული ზნეობის საწინააღმდეგოდ,

---

<sup>114</sup> იხ. ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 54. ველის ნომერი 27. მითითება: შდრ. ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 54, გვ. 178.

<sup>115</sup> საქ. უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 18 ნოემბრის # ას-533-786-08 განჩინება.

<sup>116</sup> შდრ. Medicus, BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn. 681.

<sup>117</sup> შდრ. Medicus, BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn. 689.

<sup>118</sup> კერესელიძე დ., უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 280.



როცა ეს იურიდიულად აუცილებელია და ის შეიცავს დარღვევას იურიდიულად მნიშვნელოვანი ინტერესებისა.<sup>119</sup>

54-ე მუხლი შეიცავს ზოგად დებულებას იმის თაობაზე, რომ კანონსაწინააღმდეგო, საჯარო წესრიგის ან ზნეობის ნორმების საწინააღმდეგო გარიგება არის ბათილი. მაგრამ ნორმა კონკრეტულად არ განსაზღვრავს ბათილობის არც პირობებს და არც სახეებს. აქედან გამომდინარე, გასაზიარებელია მოსაზრება, რომ 54-ე მუხლი მხოლოდ ბლანკეტურ, მითითებით მუხლს წარმოადგენს.<sup>120</sup> ეს იმას ნიშნავს, რომ 54-ე მუხლის საფუძველზე გარიგების ბათილად მიჩნევისათვის აუცილებელია ყოველთვის კანონის კონკრეტული ნორმის მითითება.<sup>121</sup>

## 2. გარიგების ბათილობა გავლენის ბოროტად გამოყენების გამო

„სსკ-ის 55-ე მუხლით გათვალისწინებული გარიგება უფლების ბოროტად გამოყენების ერთ-ერთ შემთხვევას წარმოადგენს. ნორმის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით, როცა მათი ურთიერთობა დაფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე.“<sup>122</sup>

გავლენის ბოროტად გამოყენების საფუძველით გარიგების ბათილად ცნობის შესახებ ნორმა, ისევე როგორც კეთილსინდისიერების პრინციპი, იცავს გარიგების სუსტი მხარის ინტერესებს, რამეთუ კეთილსინდისიერების პრინციპი მოითხოვს, მხარეთა შორის ურთიერთობებში უფლების განხორციელების დროს მხარემ გაითვალისწინოს მეორე მხარის ინტერესები.“<sup>123</sup>

<sup>119</sup> ზარანდია/ჯუღელი, ზნეობრივი ვალდებულებანი სამოქალაქო სამართალში, მართლმსაჯულება და კანონი, 4/2006, გვ. 77.

<sup>120</sup> შდრ. Sack, in Staudinger, 2003, § 134 Rn. 57.

<sup>121</sup> ლადო ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 54, ველის ნომერი 37.

<sup>122</sup> ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელმწიფო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2014, 13, [http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/disertaciebi\\_samartali/nino\\_xunashvili.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/nino_xunashvili.pdf) [27.06.2019].

<sup>123</sup> იხ: ბოელინგი ჰ., ლუტრინგჰაუსი პ., შატბერაშვილი ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძველების სისტემური ანალიზი., მითითებულია თოდუა მ., ქურდაძე შ., ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილებათა მიღების თავისებურებანი, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, თბ., 2005, 178-179. მითითებულია: ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელმწიფო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,



გავლენის ბოროტად გამოყენების გამო გარიგების ბათილობის შესახებ ნორმა აღგენს მკაფიო კრიტერიუმს – კერძოდ კი სახეზე უნდა იყოს განსაკუთრებულ ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობებში ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენება.

კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგო ბათილ გარიგებებს მიეკუთვნება ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით დადებული გარიგებები (კაბალური გარიგებები), მოტყუებით, იძულებით (ძალადობით ან მუქარით) დადებული გარიგებები); ამგვარ გარიგებებში ერთ-ერთმა მხარემ ან გარიგების ორივე მხარემ (მხარეებმა) იცის, რომ ასეთი გარიგების დადებით შეიძლება დაირღვეს გარიგების მეორე მხარის უფლებები და ინტერესები ან მესამე პირის ინტერესები და ამ ფაქტორით სარგებლობენ. მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებაც ასევე შეიძლება მივაკუთვნოთ კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგო გარიგებებს. მართალია, როგორც წესი, მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებებით არ ირღვევა გარიგების მხარეთა უფლებები, მაგრამ ამგვარი გარიგებებით შეიძლება დაირღვეს მესამე პირთა უფლებები.

„ამ კატეგორიის გარიგებათა თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ გარიგების მონაწილეები ურთიერთშეთანხმებით მიზნად ისახავენ მესამე პირთა შეყვანას შეცდომაში“.<sup>124</sup>

---

თბილისი, 2014, 13. სსსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე ზოგიერთი ავტორი მაგალითად დასაშვებად მიიჩნევს თავდებობის ხელშეკრულების გაბათილებას როგორც ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გამო დადებულ გარიგებას. მიეთითება შემდეგი მაგალითი: ბანკმა გასცა კრედიტი და კრედიტის უზრუნველყოფის მიზნით მთელ თანხაზე კრედიტის მიმღების შვილმა იკისრა თავდებობა, რომელიც ჯერ სწავლობს. თავდებობა ბათილია, როდესაც ემოციური კავშირის საფუძველზე ვალდებულების საკუთარ თავზე აღებით თავდები თავისი თავდებობით მკვეთრად აჭარბებს თავის შესაძლებლობებს და გონიერი კრედიტორის თვალთ ეს თავდებობა ეკონომიკურად აზრს მოკლებულია. მკვეთრ გადაჭარბებაზე საუბარი, როცა თავდებს კრედიტის პროცენტის გადახდის უნარიც კი არ შესწევს. ეს გადაჭარბება მიგვანიშნებს თავდებსა და მოვალეს შორის გარკვეული ურთიერთობის არსებობისას (ამ შემთხვევაში – მამას თავდებად უდგება შვილი) თავდებობის ვალდებულების აღება მოხდა ემოციური კავშირის საფუძველზე.“

[http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/disertaciebi\\_samartali/nino\\_xunashvili.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/nino_xunashvili.pdf) [27.06.2019]

<sup>124</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2011, 361.

### 3. მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებანი

სსკ-ის 56-ე მუხლი საუბრობს გარიგების იმგვარ ტიპზე, როდესაც გარიგების შეთანხმება მოკლებულია ნამდვილობას.<sup>125</sup> შესაბამისად, აქ არა უცოდინრობა, არამედ მხარეთა გააზრებული მოქმედება გვაქვს სახეზე. ამგვარი სახის გარიგება ბათილია მისი დადების მომენტიდან, ვინაიდან იგი ხშირად მიმართულია იმისკენ, რომ გადაფაროს სხვა სახის გარიგება.<sup>126</sup>

56-ე მუხლი აწესრიგებს ნების ნაკლის<sup>127</sup> საფუძველზე დადებული გარიგების ორ შემთხვევას — მოჩვენებით და თვალთმაქცურ გარიგებებს. ორივე შემთხვევაში საუბარია სიმულაციასა და სიმულაციის განსხვავებულ მეთოდებზე.<sup>128</sup>

როგორც მოჩვენებითი, ისე თვალთმაქცური გარიგებები კერძო ავტონომიის ნეგატიური გამოვლინების მაგალითად მიიჩნევა.<sup>129</sup>

მოჩვენებითია გარიგება, როცა ნების გამომვლენი და ნების მიმღები თანხმდებიან იმაზე, რომ მათ მიერ გამოვლენილ ნებას არ მიეცეს მსვლელობა და არ მოჰყვეს ამ გარიგებისათვის დამახასიათებელი სამართლებრივი შედეგი, ე.ი. ახდენენ გარეგნულად გამოხატულის მიღწევის სიმულაციას.<sup>130</sup>

მოჩვენებით გარიგებას ორი ძირითადი ნიშანი ახასიათებს: პირველი, ის დადებულია მოსაჩვენებლად და, მეორე, მხარეებს არა აქვთ ამ გარიგებით გათვალისწინებული შედეგის დადგომის განზრახვა. სასამართლო პრაქტიკის მიხედვით მოჩვენებითი გარიგების შემთხვევაში აუცილებელია, რომ ნების გამომვლენი და ნების მიმღები მოქმედებდნენ შეთანხმებით და ორივე აცნობიერებდეს ნების ნაკლს.<sup>131</sup>

<sup>125</sup> შეად. ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, გვ. 186.

<sup>126</sup> სკ-ის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილი; იხ, ასევე მაგალითად, ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 365.

<sup>127</sup> ასევე „ნების გაცნობიერებული ნაკლი“, რადგან გამოვლენილი ნება შეგნებულად განსხვავდება გამომვლენის ჭეშმარიტი ნებისაგან, ან იგი საერთოდ არ არსებობს; კერესელიძე დ., უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 305. ველის ნომერი 1.

<sup>128</sup> ზოიძე ბ., სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 56, გვ. 186.

<sup>129</sup> MüKo/Armbrüster, BGB, 6. Aufl., 2012, § 117 Rn. 1.

<sup>130</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 361.

<sup>131</sup> საქ. უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 30 აპრილის № ას-571-879-09 გადაწყვეტილება; საქ. უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 23 თებერვლის № ას-891-1177-09 განჩინება, სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2/2010, გვ. 253. ველის ნომერი 7.

მოჩვენებით გარიგებად მიჩნევისათვის გადამწყვეტია ფაქტი, რომ მხარეებს არა აქვთ გარიგებაში მითითებული შედეგის დადგომის განზრახვა, მაგალითად, ხელშეკრულებაში მითითებული ფასის გადახდა.<sup>132</sup>

მოჩვენებითი გარიგება ბათილია, რადგან მხარეთა შეთანხმება მოკლებულია ნამდვილობას.<sup>133</sup> მოჩვენებითი გარიგება ბათილია არა მხოლოდ გარიგების მეორე მონაწილის, არამედ მოტყუებული მესამე პირის მიმართაც.<sup>134</sup>

თვალთმაქცური გარიგება წარმოადგენს მოჩვენებითი გარიგების ნაირსახეობას და განსხვავდება იმით, რომ გარიგების მონაწილეებს რეალურად მისი განხორციელება სურთ.

მოჩვენებითი გარიგებისაგან განსხვავებით, თვალთმაქცური გარიგება ნამდვილია. თუმცა ეს არ გამორიცხავს ამ გარიგების ბათილობას სხვა საფუძველით, მაგალითად, ფორმის დაუცველობის (59 I) ან კანონსაწინააღმდეგობის (54) გამო.<sup>135</sup>

#### **4. გარიგების ბათილობა მცირეწლოვანების ან ფსიქიკური აშლილობის გამო**

58-ე მუხლის ნორმები გამოიყენება მხოლოდ მცირეწლოვნების ან ცნობიერებადაკარგული ანდა ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების მიერ განხორციელებული ნების გამოვლინებების მიმართ.

ნორმის მიზანი არის მცირეწლოვნის ან ფსიქიკური აშლილობის მქონე პირის დაცვა იმ მოსალოდნელი უარყოფითი შედეგებისაგან, რომლებიც შეიძლება მათ მიერ ნების გამოვლენას მოჰყვეს. ამას 58-ე მუხლი აღწევს ამ პირთა მიერ გამოვლენილი ნების ბათილად ცნობით. ამით სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს მცირეწლოვანთა ან ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა ინტერესების დაცვის პრიმატს სამოქალაქო ბრუნვის ინტერესებთან შედარებით.<sup>136</sup> ამ კონკრეტულ შემთხვევაში საუბარია კანონით დადგენილი ასაკის მიუღწევლობის გამო არსებულ ქმედუუნარობაზე.

58-ე მუხლი არ ანიჭებს მნიშვნელობას იმ ფაქტს, იცოდა თუ არა გარიგების მეორე მონაწილემ მცირეწლოვნობის ან ფსიქიკური აშლილობის არსებობის შესახებ ან უნდა სცოდნოდა თუ არა მას ამის შესახებ. განსახილველი მუხლი

<sup>132</sup> შდრ. MüKo/Armbrüster, BGB, 6. Aufl., 2012, § 117 Rn. 13.

<sup>133</sup> ზოიდე ბ., სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 56, გვ. 186.

<sup>134</sup> შდრ. Rütters/Stadler, Allgemeiner Teil des BGB, 16. Aufl. § 25 Rn. 7.

<sup>135</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 56, ველის ნომერი 19.

<sup>136</sup> შდრ. Wendtland, in Beck OK BGB, 28. Aufl. Stand 01.08.2013, § 105 Rn. 1.

რაიმე გამონაკლისს ამ ასპექტით არ ითვალისწინებს. ამიტომ, მიუხედავად იმისა, იცოდა თუ არა გარიგების მეორე მონაწილემ ფსიქიკური აშლილობის შესახებ, გარიგება ბათილია.<sup>137</sup> ამრიგად, 58-ე მუხლი არ იცავს გარიგების მეორე მონაწილის კეთილსინდისიერებას.

ბათილად უნდა ჩაითვალოს ნების გამოვლენა მაშინაც, როცა ნების გამოვლენა სარგებლის მომტანია ნების გამომვლენისათვის ანდა ნების გამომვლენმა თავი შეგნებულად ჩაიყენა ამ მდგომარეობაში.<sup>138</sup>

## 5. მხარდაჭერის მიმღების მიერ გარიგების დადება

მხარდაჭერის მიმღების მიერ სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მხარდაჭერის მიღების გარეშე ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, შემდგომში მხარდაჭერი მოიწონებს თუ არა მას. მოცემულ შემთხვევაში მოწონება გულისხმობს შემდგომ თანხმობას 101 მუხლის მსგავსად, რომელიც ადგენს არასრულწლოვანის მიერ დადებული გარიგების მოწონებას. შემდგომი მოწონების აუცილებლობა არ არსებობს იმ შემთხვევაში, თუ გარიგების დადებით მხარდაჭერის მიმღები იღებს სარგებელს. მოცემულ შემთხვევაში კანონმდებელმა ხელშეკრულების ნამდვილობა გაუთანაბრა არასრულწლოვანის მიერ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე დადებული გარიგების ნამდვილობის პირობას.<sup>139</sup>

მსგავსი სახის გარიგება არის მერყევად ბათილი და მისი ნამდვილობა დამოკიდებულია მხარდაჭერის მოწონებაზე.

## 6. გარიგების ფორმა

ბუნებრივია, ხელშეკრულების ნამდვილობის წინაპრობად კანონით ან მხარეთა შეთანხმებით დადგენილი ფორმის დაცვა, გარკვეულწილად, აფერხებს სახელშეკრულებო ურთიერთობის სწრაფად და მოქნილად განვითარებას.<sup>140</sup>

<sup>137</sup> შდრ. MüKo/Schmitt, BGB, 6. Aufl., 2012, § 105 Rn. 2.

<sup>138</sup> შდრ. MüKo/Schmitt, 6. Aufl., 2012, § 105 Rn. 44.

<sup>139</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 58<sup>1</sup>, ველის ნომერი 5.

<sup>140</sup> ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 89. მითითებულია: ამირანაშვილი., გ გარიგების ფორმის ფუნქციები, გვ. 48. სამართლის ჟურნალი № 1. 2016.

კანონმდებელი ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებულ გარკვეულ წესებს ისეთ შემთხვევაში განსაზღვრავს, როდესაც თავად სახელშეკრულებო ურთიერთობის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად არის ამის საჭიროება და ფორმის დაწესებას შესაბამისი მიზანი აქვს.<sup>141</sup> სამართლებრივი რეჟიმების უმეტესობა ხელშეკრულების გარკვეული კატეგორიების ნამდვილობისა და იძულებით განხორციელებადობისათვის ითხოვს ფორმალობის დაცვას.<sup>142</sup> ამდაგვარი ფორმალური მოთხოვნის ძირითადი ფუნქციაა თავიდან აარიდოს ინდივიდებს თვითდამაზიანებელი ხელშეკრულების დადება, გაართულოს აღნიშნული პროცედურა, რაც თავისთავად იწვევს წინდახედულებისა და საბოლოო ჯამში კეთილდღეობის ამაღლებას. ფორმა არ არის თვითმიზანი, არამედ იგი სხვადასხვა მიზნის მიღწევის საშუალებაა და განპირობებულია ამ მიზნებით.<sup>143</sup>

ხელშეკრულების წერილობით გაფორმების მოთხოვნა საშუალებას იძლევა, უფრო ზუსტად დადგინდეს თავად მისი დადების ფაქტი, ასევე უზრუნველყოფს გარიგების დადების ფაქტის სიცხადეს (Abschlussklarheit).<sup>144</sup> ზოგიერთი ავტორის შეხედულებით, ფორმალური გარიგება მრავალი უპირატესობით სარგებლობს, მისი მეშვეობით, მხარეები შეთახნების სერიოზულობას უფრო ცხადად აღიქვამენ, და წინასწარ მოლაპარაკებაში ერთგვარი წესრიგი მყარდება.<sup>145</sup>

ერთ-ერთი საფუძველი, რომლითაც ხდება გარიგების ფორმის დადგენა, არის კანონმდებლის მისწრაფება, „გამოიწვიოს პირებში, რომლებიც ახორციელებენ აქტს, სრულიად აწონილდაწონილი, სერიოზული ნება.“<sup>146</sup>

საბოლოო ჯამში, ფორმის გათვალისწინება შედარებით უზრუნველყოფს ხელშეკრულების დამდები მხარეების დაცულობას მოსალოდნელი

<sup>141</sup> ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, გვ.89.

<sup>142</sup> Cserne P., Freedom of Contract and Paternalism: Prospects and Limits of an Economic Approach, Palgrave Macmillan, New York, 2012, 106.

<sup>143</sup> კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 285.

<sup>144</sup> Татаркина К.П., Форма сделок в гражданском праве России, Изд. ТУСУРа, Томск, 2012, 57-58. ფორმის სწორედ ამ ფუნქციას გულისხმობენ, როდესაც აღნიშნავენ, რომ ფორმალური გარიგების მეშვეობით თვით გარიგების დამთავრება აშკარად იმიჯნება წინასწარი მოლაპარაკებისგან: დენბურგი ჰ., პანდექტები, ტომი პირველი, ზოგადი ნაწილი, ტფ., 1928, 243. ამ საკითხთან დაკავშირებით, აგრეთვე, იხ.: ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 328-ე მუხლი, თბ., 2001, 110.

<sup>145</sup> იქვე: დენბურგი ჰ., პანდექტები, ტომი პირველი, ზოგადი ნაწილი, ტფ., 1928, 243.

<sup>146</sup> ამირანაშვილი., გ გარიგების ფორმის ფუნქციები, გვ. 48. სამართლის ჟურნალი # 1. 2016. მითითებულია: Митюков К.А., Курс римского права, второе издание, Лито-типография Товарищества И.Н. Кушнеревы Ко, Киев, 1902, 43, ციტ. Татаркина К.П., Форма сделок в гражданском праве России, Изд. ТУСУРа, Томск, 2012, 58.

გაუბეზრობისაგან. მათ ნაკლებად შეექმნებათ ურთიერთგამომრიცხავი და მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამის, უჩვეულო დებულების, სტანდარტული პირობის ბუნდოვანებისა და ნების გამოვლენის განმარტებასთან დაკავშირებული პრობლემა.<sup>147</sup>

#### IV დადასტურება, როგორც ბათილი გარიგების შედეგი

დადასტურება შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყველა ბათილი გარიგების მიმართ, მიუხედავად გარიგების ბათილობის საფუძვლისა. დადასტურება შეიძლება როგორც ცალმხრივი (მაგალითად, ანდერძის), ისე ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგებებისა.

არარა გარიგების შემთხვევაში ბათილობის ფაქტს არ სჭირდება დადგენა, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით ადასტურებს უკვე არსებული ბათილობის ფაქტს.<sup>148</sup>

უცილოდ ბათილი გარიგება, სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად, სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს.<sup>149</sup> თუმცა აქვე დავძენ, რომ ბათილი გარიგება არ ნიშნავს „განუხორციელებელ მოქმედებას“, „ნულს“.<sup>150</sup> ბათილი გარიგება, როგორც განხორციელებული ნების გამოვლენა და ქმედება, იწვევს სამართლებრივ შედეგებს, მაგრამ არა იმ შედეგებს, რომლის მიღწევაც გარიგების მონაწილეებს ჰქონდათ განზრახული. ბათილი გარიგების სამართლებრივ შედეგებს ადგენს კანონი. ამ მიზნით სამოქალაქო კოდექსი ახდენს ბათილი გარიგებით განხორციელებული ქმედების სამართლებრივ შეფასებას და განსაზღვრავს ბათილი გარიგების მოსალოდნელ სამართლებრივ შედეგებს, მაგალითად, ზიანის ანაზღაურების ან გარიგების საფუძველზე მიღებულის უკან დაბრუნების სახით.<sup>151</sup>

ბათილი გარიგების ერთ-ერთ სამართლებრივ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს მისი დადასტურების შესაძლებლობაც (61 II).<sup>152</sup>

<sup>147</sup> პეპანაშვილი ნ., ბიზნეს სამართალი: საერთაშორისო ბიზნესის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი., 2011, გვ. 148.

<sup>148</sup> №ას-1495-1411-2012 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება 11.02.2013

<sup>149</sup> №ას-189-182-2013 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება 16.01.2014

<sup>150</sup> Bub, in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 184 Rn. 1.

<sup>151</sup> შდრ. ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 387

<sup>152</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 61, ველის ნომერი 8.

დადასტურებით მხარეები ასწორებენ იმ ნაკლს, რამაც გარიგების ბათილობა გამოიწვია.<sup>153</sup>

უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება ბათილია მისი დადებისთანავე და მას ნამდვილად ვერ აქცევს ვერც მხარეთა ნება და ვერც სასამართლოს გადაწყვეტილება.

სსკ-ის 61 -ე მუხლით გათვასლიწინებული დადასტურება ბათილი გარიგების მოდიფიცირებისა და მისი ხელახლა დადების შესაძლებლობას ამკვიდრებს, არარა გარიგების დადასტურება მხარეთა მიერ ხელმეორედ გარიგების დადებას ნიშნავს.<sup>154</sup> მაგრამ ამ მიზნით მისი გამოყენება მხოლოდ განსაზღვრული წინაპირობების თანხვედრის დროსაა შესაძლებელი, კერძოდ კი, სახეზე უნდა იყოს ბათილობის საფუძვლის მოშლა, გარიგების მონაწილეთა თანხვედრი ნების გამოვლენა - დადასტურების განზრახვა და ნება, შეთანხმება უნდა იქნეს მიღწეული გარიგების ყველა არსებით წინაპირობაზე - განსხვავება ახალი გარიგების დადებასა და ბათილი გარიგების დადასტურებას შორის იმაში გამოიხატება, რომ დადასტურება ძირითადად შეიცავს ბათილი გარიგების არსებით პირობებს.<sup>155</sup>

დადასტურების ფორმის შესახებ სამოქალაქო კოდექსი რაიმე ნორმებს არ შეიცავს, მაგრამ აღიარებული შეხედულების თანახმად, დადასტურებისათვის აუცილებელია ბათილი გარიგებისათვის დადგენილი ფორმის გამოყენება, მაშინაც, როცა გარიგების ბათილობა ფორმის შესახებ მოთხოვნის დარღვევას არ გამოუწვევია.<sup>156</sup> გარიგების მხარე უფლებამოსილია, უცილოდ ბათილი გარიგება დადასტუროს, რაც გამოიხატება იმაში, რომ მხარემ სასურველი გარიგება უნდა დადოს იმ წესით, რა წესიც კანონით დადგენილია ნამდვილი გარიგებისათვის.<sup>157</sup>

ამავდროულად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი არის ის, რომ დადასტურების შინაარსი ერთმნიშვნელოვნად არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ზნეობის ნორმებსა და საჯარო წესრიგს.

<sup>153</sup> ზოიძე ბ., სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 61, გვ. 199.

<sup>154</sup> №ას-1383-1400-2011 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება 24.10.2011 წელი

<sup>155</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 61, ველის ნომერი 15.

<sup>156</sup> შდრ. Jauernig, BGB, 14. Aufl., 2011, § 141, Rn. 3; MüKo/Busche, BGB, 6 Aufl., 2012, §141 Rn. 15.

<sup>157</sup> №ას-253-578-09 27.07.2009 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება

## VI საცილო გარიგებები

სიტყვა საცილო არა მხოლოდ თავისი მნიშვნელობით განსხვავდება სიტყვა – უცილოსგან, არამედ ასევე განსხვავება ვლინდება მის სამართლებრივ ბუნებაში და შესაბამისად, იგი აისახაზე გარიგებების სამართლებრივ შედეგებზე. კერძოდ, საცილო გარიგებას გააჩნია თავისებურება, რაც იმაში გამოიხატება, რომ იგი ძალას იმ მომენტამდე ინარჩუნებს, სანამ მხარეებს საცილოდ არ გაუხდიათ.<sup>158</sup> საცილო გარიგება ნამდვილია მისი დადების მომენტში, რაც გულისხმობს იმას, რომ ის გარემოებანი არსებობს, რამაც შესაძლოა გარიგება მომავალში ბათილი გახადოს.<sup>159</sup>

„მართალია, ბათილი გარიგება დადებისთანავე ბათილია, მაგრამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში გარიგების მონაწილეებს აქვთ ბათილი გარიგების ნაცვლად ნამდვილი გარიგების დადების შესაძლებლობა. ამას ითვალისწინებს 61 II მუხლი.<sup>160</sup> გარიგების ხელახლა დადების გზით გარიგების მონაწილეებს შეუძლიათ მართლზომიერად მიაღწიონ დასახულ მიზანს.“<sup>161</sup>

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი შეცილების უფლების მქონეს, ამგვარ შესაძლებლობას ართმევს, თუ მან იცოდა, ან უნდა სცოდნოდა გარიგების დადების შემდგომ საცილოდ გახდომის საფუძველი.<sup>162</sup> მაგალითად, როდესაც პირი უშვებს შეცდომას განმარტებაში (Erklärungsirrtum) მაგრამ ისე, რომ ხვდება ამის შესახებ და არ ცდილობს, რეალურად არსებული ინფორმაციის გააზრებას. შედეგად, მას არ წარმოეშობა საფუძველი, მოითხოვოს გარიგების საცილოდ გახდომა.<sup>163</sup>

„საცილო გარიგებები დადების მომენტში ნამდვილია“.<sup>164</sup> შეცილების უფლება გააჩნია დაინტერესებულ პირს, რომელსაც გარდა სასამართლოში სარჩელის შეტანისა, შეუძლია იგი საცილოდ გახადოს უშუალოდ მეორე მხარესთან, სხვა ორგანოების ჩაურევლად.<sup>165</sup> საცილო გარიგებების ყველაზე გავრცელებულ სამ სახეს წარმოადგენს: შეცდომით, იძულებით და

<sup>158</sup> კობახიძე ავთანდილ, სამოქალაქო სამართალი, I ზოდადი ნაწილი, შპს გაზეთ „საქართველოს მაცნე“-ს სტამბა, თბილისი, 2001. გვ. 302.

<sup>159</sup> კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 270.

<sup>160</sup> იხ. მუხლი. 61 II კომენტარი.

<sup>161</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი მუხლი 54. ველი. 39

<sup>162</sup> Ahrens, Weggen.Prütting.Weinrich, გვ. 110.

<sup>163</sup> შეად. BGB, Handkommentar, გვ. 101.

<sup>164</sup> ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2011. გვ. 388.

<sup>165</sup> იქვე. გვ. 389



მოტყუებით დადებული გარიგებანი, <sup>166</sup> რომელთა საფუძველზე დაინტერესებული მხარის<sup>167</sup> მიერ შეცილების უპირველეს საფუძველს ნების ნაკლი წარმოადგენს.<sup>168</sup>

გარიგების საცილობის შედეგია გარიგების ბათილობა, რომელიც საცილობისგან უპირველესად იმით განსხვავდება, რომ მისი ბათილობისთვის სავალდებულო არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება.<sup>169</sup> შესაბამისად, მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან განსხვავებულ იქნეს ბათილობა, როგორც შეცილების სამართლებრივი შედეგი და ბათილობა, რომლის წარმოშობის მიზეზად უცილოდ ბათილი გარიგება გვევლინება.<sup>170</sup> თავის მხრივ, შეცილებული გარიგება ბათილად ჩაითვლება მისი დადების მომენტიდან და არა მისი შეცილების მომენტიდან.<sup>171</sup>

გარიგების ბათილობა შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც საცილო გარიგების სამართლებრივი (საბოლოო შედეგი). გარიგების ბათილობა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შეცილებულ იქნა ნამდვილი შეცილების სამართლებრივი უფლების საფუძველზე, და შეცილებულ იქნა ნამდვილი შეცილების შედეგად.<sup>172</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 142-ე პარაგრაფი განმარტავს საცილობის საფუძველზე გარიგების ბათილობის დადგომის სამართლებრივ საფუძველს. შეიძლება ითქვას, რომ ბათილობა საცილოდ დადებული გარიგების შედეგია.<sup>173</sup> შესაბამისად, გარიგების ბათილად ცნობის შემთხვევაში, გარიგება ასეთად დადების მომენტიდან ჩაითვლება.<sup>174</sup> ბათილი გარიგება არ აძლევს ერთ-ერთ მხარეს რაიმე სახის უპირატესობას, დააყენოს დამატებითი მოთხოვნა (გარიგების ასეთად ცნობის შემდეგ).

ბათილობა უპირველეს ყოვლისა უნდა იქნეს გამიჯნული საცილობისგან. იგი კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში დგება ყოველგვარი დამატებითი მოქმედების გარეშე, ანუ ავტომატურად. „კანონი არ

---

<sup>166</sup> იქვე.

<sup>167</sup> იხ, იქვე, 389-390; საინტერესოა იმ ფაქტის დადგენა, თუ ვინ არის „დაინტერესებული მხარე“. სკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ნებისმიერი დაინტერესებული მხარე არის შეცილების უფლების მქონე ნებისმიერი პირი.

<sup>168</sup> იქვე. 389

<sup>169</sup> კობახიძე ავთანდილ., სამოქალაქო სამართალი, I ზოდადი ნაწილი, შპს გაზეთ „საქართველოს მაცნე“-ს სტამბა, თბილისი, 2001. გვ. 303.

<sup>170</sup> იქვე.

<sup>171</sup> ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გვ.389.

<sup>172</sup> Feuerborn, Anwaltskommetar., გვ.826; „Die Nichtigkeitsfolge ergreift das wirksam angefochtene Rechtsgeschäft“.

<sup>173</sup> შეად. Juris Praxiskommentar BGB, გვ. 811

<sup>174</sup> Erman, Bürgerliches Gesetzbuch, Handkommentar, გვ. 479

ითვალისწინებს ბათილი გარიგების გამოსწორების შესაძლებლობას”.<sup>175</sup> შესაბამისად, მისი შეცვლა (გამოსწორება) ვერ მოხდება ვერც გარიგების მონაწილეთა მიერ და ვერც სასამართლოს მიერ.<sup>176</sup>

## 1. შეცდომით დადებული გარიგება და მათ შორის არსებული განსხვავება

გარიგება პირის მიერ ნების გამოვლენის შედეგია, მაგრამ აუცილებელია, აღნიშნული ნება იმგვარად იქნეს გამოვლენილი, რომ მან სამართლებრივი შედეგი გამოიწვიოს.<sup>177</sup> ამასთან, საჭიროა მატერიალური და ფორმალური წინაპირობების არსებობა, რაც თავის მხრივ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილის ასაკს, ჯანმრთელობის მდგომარეობას, ქმედუნარიანობას, ან ასევე სამართლებრივი შედეგის წარმოსაშობად სხვა სახის აუცილებელ წინაპირობებს მოიცავს.<sup>178</sup>

სამოქალაქო სამართალში ისეთ ვითარებას, როცა „გარეგნულად გამოვლენილი ნება არ ემთხვევა მისი გამომვლენის ნამდვილ შინაგან ნებას და გარიგება კი ნების გარეგნული გამოვლენის შედეგად დაიდო, ნების ნაკლი ეწოდება”.<sup>179</sup> ნების ნაკლი შეიძლება, როგორც გაცნობიერებული, ასევე გაუცნობიერებელი ნების გამოვლენა იყოს.<sup>180</sup> ნების ნაკლი სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილითაა მოწესრიგებული და იგი პირის ცდომილებაზეა დამყარებული.<sup>181</sup> ნების ნაკლი ხშირად შეცდომით დადებული გარიგებაა. მაგრამ სამოქალაქო კოდექსით ასევე ნების ნაკლის სხვა შემთხვევებიც არის გაწერილი – მოტყუება და იძულება. ისევე როგორც შეცდომის დროს, მოტყუებისას პირი გარიგებას ნების საწინააღმდეგოდ დებს,<sup>182</sup> მაგრამ განსხვავებით შეცდომისგან, სხვისი ზემოქმედების ქვეშ ექცევა.

---

<sup>175</sup> ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2011. გვ. 383.

<sup>176</sup> იქვე.

<sup>177</sup> ზოიძე ბ., ახვლედიანი ზ., ჭანტურია ლ., ჯორბენაძე ს., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, სამოქალაქო კოდექსის ზოგად დებულებანი, გამომცემლობა „სამართალი“, 1999, თბილისი (შემდგომში – ზოიძე ბესარიონ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I), გვ. 167.

<sup>178</sup> შეად. ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გვ. 312-313.

<sup>179</sup> შეად. ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გვ. 365.

<sup>180</sup> Brox/Wolker. Allgemeiner Teil des BGB, 30. Auflage, Carls Heymanns, München, 2006, 201.

<sup>181</sup> იხ. ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2011. გვ. 378.

<sup>182</sup> იქვე.

ნების ნაკლის კიდევ ერთი შემთხვევაა – იძულებით დადებული გარიგება.<sup>183</sup> მასსა და მოტყუებით დადებულ გარიგებას შორის საერთოა მხოლოდ პირის განზრახვა, მაგრამ ადრესატი, ანუ პირი, ვინც სურვილის საწინააღმდეგოდ დებს გარიგებას, იაზრებს ყოველივეს და არ ცდება მის არც შინაარსსა და არც სამართლებრივ ბუნებაში. ეს არის ნების აშკარად საწინააღმდეგო ქმედება, როდესაც პირმა რეალური ვითარება იცის და იგი მხოლოდ იძულებულია, განახორციელოს ნების საწინააღმდეგო მოქმედება.<sup>184</sup>

მოტყუებით, ან შეცდომით დადებული გარიგების დროს, გარიგების მონაწილე დარწმუნებულია მისი ნების სისწორესა და უტყუარობაში. მას მიაჩნია, რომ უბრალოდ ცდება მასში, ხოლო იძულებით დადებული გარიგების დროს ადგილი აქვს აშკარა ჩარევას ნების გამოვლენაში.<sup>185</sup>

ქართულ სამოქალაქო სამართალში პირის სურვილის შესაბამისი მოქმედება, რომელიც სასურველ სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს, შეცდომა ეწოდება. გარიგებაში დაშვებული შეცდომა განიმარტება, როგორც ცდომილებაში მყოფი პირის მიერ, მისი ნების საწინააღმდეგო მოქმედება,<sup>186</sup> მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იურისპრუდენცია სამართლებრივ ინსტიტუტად ცდომილებას არ ამკვიდრებს. თანამედროვე შეხედულებების

შეცდომის არსის კონცეფციის ჩამოყალიბება, სავინის სახელთანაა დაკავშირებული, რომელიც შემდეგნაირად განმარტავს: „შეცდომით განხორციელებული ნების გამოვლენა არ არის ნამდვილი, ვინაიდან ამ გარეგნული გამოხატვის უკან არ დგას ნამდვილი ნება“.<sup>187</sup> სავინის ეკუთვნის ასევე მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ერთმანეთისგან იმიჯნება შეცდომა, რომელიც ნების ფორმირებისას<sup>188</sup> მოხდა და შეცდომა, რომელიც პირის მიერ მისი ნების განმარტებისას<sup>189</sup> იქნა არასწორად გადმოცემული.<sup>190</sup> სწორედ მოცემული ხერხითაა შესაძლებელი, შეცდომის შედეგად დადებული გარიგების ორი სახის სამართლებრივი შედეგის ურთიერთგამიჯვნა – მისი საცილობის საფუძველის არსებობისა და არარსებობის საკითხი.

<sup>183</sup> იქვე. გვ. 379.

<sup>184</sup> იქვე.

<sup>185</sup> იხ. ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, გვ. 246.

<sup>186</sup> შეად. ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, გვ. 223.

<sup>187</sup> იხ. ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში გვ. 369. მითითება შემდეგზე - Flume, Rechtsgeschäft, §21.2.

<sup>188</sup> „in der Phase der Willensbildung“.

<sup>189</sup> „die Willen in eine Erklärung umgesetzt hat, die jenen Willen irrtümmlich nicht richtig zum Ausdruck bringt“.

<sup>190</sup> Zweigert, Kötz, Einführung in die Rechtsvergleichung, გვ. 409, ავტორი იზიარებს სავინის მოსაზრებას.

გერმანიაში, საქართველოს მსგავსად, სამოქალაქო სამართალში არაა მოცემული შეცდომის რაიმე კონკრეტული განმარტება. შეცდომა ასეთად მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს, როდესაც პირის სურვილი და ნების გამოვლენა ერთმანეთთან შეუსაბამობაშია.<sup>191</sup>

შესაძლებელია, გარდა აღნიშნულისა, მისი დიფერენცირება განსხვავებულად: გერმანიაში გამოიყოფა შეცდომის ოთხი სახე<sup>192</sup> და თითოეული წარმოადგენს არსებითი ხასიათის შეცდომას, ანუ მათ შესაბამისად ხდება გარიგების ბათილად ცნობა. უპირველესი საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც შეიძლება მოხდეს ფაქტის დაკვალიფიცირება და არსებითი შეცდომის სახედ განსაზღვრა, არის პირის მიერ ნების გამოვლენის შედეგად მიღებული შედეგი.

გარიგებაში დაშვებული შეცდომის დროს საცილო ხდება დადებული გარიგება, რაც შემდგომ აღნიშნული შეთანხმების ბათილობის საფუძველი ხდება. მიუხედავად ამისა, ქართულ სამოქალაქო სამართალში არის ნორმა, რომლის მიხედვითაც, შეცდომით დადებული გარიგების მიუხედავად არ ხორციელდება მისი მოშლა, თუ სახეზე იქნება მხარეთა სურვილი და თანხმობა (სამოქალაქო კოდექსის 77-ე მუხლი).<sup>193</sup>

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც დამდგარი შედეგი ნების გამოვლენასთან არ მოდის შესაბამისობაში, მაგრამ მხარეთათვის დამდგარი შედეგი ბევრად მისაღებია, ვიდრე წინასწარ განსაზღვრული სურვილი. აღნიშნული შემთხვევა რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის 79-ე მუხლით. კანონი არ ზღუდავს მხარეებს, თავად განსაზღვრონ დამდგარი შედეგის შემდგომი განვითარება.

თუ გარიგების ორივე მხარისათვის არებულის შედეგი ბევრად მისაღებია და შეესაბამება სასურველ განზრახვას, არ უნდა მოხდეს ამ ურთიერთობაში კანონის „უადგილო“ ჩარევა. ვინაიდან სამოქალაქო სამართალი პირთა ნების გამოვლენის სამართალია და თუ დამდგარი შედეგი კანონის სხვა ნორმასთან წინააღმდეგობაში არ მოდის, მისი ნების გამოვლენის შესაბამისად ცნობა და მონაწილეთა პირობაზე დათანხმება, კერძო სამართლებრივი ურთიერთობის უპირველესი თავისებურებაა.

გერმანული სამართლის თანახმად, იმისათვის, რომ არსებით შეცდომას სამართლებრივი შედეგი მოჰყვეს, საჭიროა მხარეთა შეთანხმება და

<sup>191</sup> Schulze Reiner (Schriftleitung), BGB, Handkommentar, 6. Auflage, Verlag Nomos, Deutschland, 2009 (შემდგომში – BGB, Handkommentar), გვ. 92

<sup>192</sup> იხ. Brox, Walker, AT des BGB, გვ. 182.

<sup>193</sup> ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, გვ. 233-234.

ხელშეკრულების ძალაში შესვლა.<sup>194</sup> სხვა შემთხვევაში გარიგების საცილობაზე საუბარი ყოველგვარ საფუძველს იქნება მოკლებული, ვინაიდან თუ გარიგების პირობებზე მხარეები შეთანხმებულები არ არიან, უფლება არ იქნება შეცილების მქონე.

არსებით შეცდომაზე საუბრისას, იგულისხმება გარიგების ბათილად ცნობა სასამართლოს მიერ და არა კონკრეტული პიროვნების მიერ ადგილზევე ხარვეზის გამოსწორება.<sup>195</sup> გარდა ამ უპირველესი სამართლებრივი საფუძველისა, რომელიც გულისხმობს ხელშეკრულების ძალაში შესვლას, ამავედროულად სამართლებრივი შედეგის დასადგომად საჭიროა მეორე პირობის არსებობა: კერძოდ კი სამართლებრივი შედეგის გარდაუვალობა.

სამართლებრივი შედეგის გარდაუვალობა სახეზე იქნება მაშინ, როდესაც გარიგების საცილოდ ცნობა ერთადერთი საშუალებაა. თუ მხარეთა მიერ შეიძლება ხელშეკრულების შესრულება სასამართლოს ჩარევის გარეშე, სახეზე არ გვექნება ის შემთხვევა, როდესაც მხარეები თავად ვერ წყვეტენ ამა თუ იმ საკითხს.

სამართლებრივ შედეგზე საუბრისას, იგულისხმება სასამართლოში საქმის განხილვა და გარიგების საცილოდ ცნობა და არა პირთა მიერ შეთანხმება. თავის მხრივ, მხარეთა შეთანხმება შეიძლება განხორციელდეს სამართლებრივი შედეგის დადგომის საფუძველზე, მაგრამ გარიგების საცილოდ ცნობის აუცილებლობა ამ შემთხვევაში არ წარმოიშობა.

შეცდომის არსებობისა თუ არაარსებობის დადგენა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამოუკიდებლად უნდა მოხდეს, აღნიშნულის განსაზღვრა მნიშვნელოვანი საკითხია იმ კუთხით, რომ თუ გარიგება უნდა გაბათილდეს, საჭიროა განხორციელდეს შესაბამისი ქმედება. თავის მხრივ, ბათილი გარიგება: „ვერ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს მისი „არსებობის“ ვერცერთ ეტაპზე“.<sup>196</sup>

## 2. მოტყუებით დადებული გარიგება

---

<sup>194</sup> Kropholler Von Jan, BGB, Studienkommentar, გვ. 71-72.

<sup>195</sup> ამ შემთხვევაში საუბარი არ არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 77-ე მუხლით განსაზღვრულ შესაძლებლობაზე, როდესაც კონტრაქტის თანახმაა დადოს გარიგება არსებული სახით; ზემოთ მოყვანილ განმარტებაში მოიაზრება იმგვარი სამართლებრივი ურთიერთობა, როდესაც მხარეს სურს შეცდომით დადებული გარიგების გამოსწორება და მეორე მხარე წინააღმდეგია ამის.

<sup>196</sup> კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, გვ. 263.

შეცდომის გარდა, როგორც ზემოთ აღინიშნა გარიგების საცილოდ გახდომის საფუძველი შესაძლებელია იყოს მოტყუება ან/და იძულება.

81-ე მუხლის მიხედვით მოტყუებით დადებული გარიგება არის საცილო, რაც ნიშნავს იმას, რომ ის დადებისას ნამდვილია, ხოლო 59 II 2 მუხლის<sup>197</sup> მიხედვით შესაბამისი პირის მიმართ შეცილების შემდეგ ქარწყლდება დადების მომენტიდან (59 II 1),<sup>198</sup> 84-ე მუხლით გათვალისწინებული ვადის დაცვის შემთხვევაში. ქართული სასამართლო პრაქტიკა ამ გადაწყვეტასთან დაკავშირებით ყოველთვის თანმიმდევრული არ არის.<sup>199</sup>

მოტყუებით დადებული გარიგება თავისი ბუნებით საკმაოდ ჰგავს კანონის საწინააღმდეგო გარიგებას, მაგრამ მათ შორის განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს ის, თუ რა ნება-სურვილი გააჩნდათ მხარეებს. კერძოდ, მართლსაწინააღმდეგო გარიგების დროს, მხარეთა მიზანი არის ერთ, გარკვეულ ნორმაზე თავის არიდებით, შესაბამისი შედეგის მიღება. ხოლო როცა საკითხი უშუალოდ მოტყუებით დადებულ გარიგებას ეხება, აქ იკვეთება მხოლოდ ერთი მხარის (მომტყუებლის) ნება, მიღებულ იქნეს გარიგება, მეორე მხარის შეცდომაში შეყვანით. მოტყუებით დადებული გარიგების დროს, თუნდაც მასში ერთ-ერთი მხარე ცდებოდეს არსებითად, სახეზე იქნება სწორედ მოტყუებისათვის გათვალისწინებული სამართლებრივი ნორმები.

<sup>197</sup> რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 81, ველის ნომერი 23. მითითებულია: იხ. 59-ე მუხლის კომენტარი ველი 29 და შემდგომში

<sup>198</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 379; კერესელიძე, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 341 სქ. 1696; კიკოშვილი, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 12, 17; ჯორბენაძე, შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი #1/2011, გვ. 193, 199; საცილო გარიგებებთან დაკავშირებით შდრ. 59-ე მუხლის კომენტარი ველი 23-ე და შემდგომში; იხ. ასევე 59-ე მუხლის კომენტარი ველი 33 და შემდგომში.

<sup>199</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 30 სექტემბრის # ას-669-636-2014 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 7 მაისის # ას-715-684-2014 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 აპრილის # ას-132-124-2015 განჩინება: „81-ე მუხლის პირველი ნაწილი კი, ითვალისწინებს გარიგების ბათილობას“. მართალია, სასამართლო ამ გადაწყვეტილებებში მოტყუებით დადებულ გარიგებას ბათილად მოიხსენიებს, თუმცა ეს, სავარაუდოდ, მექანიკურ შეცდომას უნდა წარმოადგენდეს, რადგან ყველა სხვა შემთხვევაში საცილოობა და ავტომატური ბათილობა ერთმანეთისაგან მართებულად არის გამიჯნული: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 1 ნოემბრის №ას-1134-1080-2014 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 17 ივლისის №ას-1206-1135-2012 განჩინება; მითითებულია: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 10 აპრილის №ას-447-424-2011 განჩინება. რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 81, ველის ნომერი 23.

### 3. იძულებით დადებული გარიგება

ნების ნაკლის კიდევ ერთი შემთხვევაა – იძულებით დადებული გარიგება.<sup>200</sup> მასსა და მოტყუებით დადებულ გარიგებას შორის საერთოა მხოლოდ პირის განზრახვა, მაგრამ ადრესატი, ანუ პირი, ვინც სურვილის საწინააღმდეგოდ დებს გარიგებას, იაზრებს ყოველივეს და არ ცდება მის არც შინაარსსა და არც სამართლებრივ ბუნებაში. ეს არის ნების აშკარად საწინააღმდეგო ქმედება, როდესაც პირმა რეალური ვითარება იცის და იგი მხოლოდ იძულებულია, განახორციელოს ნების საწინააღმდეგო მოქმედება.<sup>201</sup>

მოტყუებით, ან შეცდომით დადებული გარიგების დროს, გარიგების მონაწილე დარწმუნებულია მისი ნების სისწორესა და უტყუარობაში. მას მიაჩნია, რომ უბრალოდ ცდება მასში, ხოლო იძულებით დადებული გარიგების დროს ადგილი აქვს აშკარა ჩარევას ნების გამოვლენაში.<sup>202</sup>

იძულების შედეგად დადებულ გარიგებებთან მიმართებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იძულებისას არ ხდება ნების გამოვლენა ორივე მხარის მიერ სურვილისამებრ. თავად იძულების ფაქტი, ნების საწინააღმდეგო ქმედებაა<sup>203</sup> და ამ დროს პირი განსხვავებით მოტყუებით დადებული გარიგებისგან, ნების საწინააღმდეგოდ შეგნებულად მოქმედებს.

ისევე როგორც მოტყუებით დადებული გარიგებისას, იძულებით დადებულ გარიგებაში, ასევე არაა სახეზე პირის მიერ გამოვლენილი ნების შესაბამისობა დამდგარ შედეგთან. აღნიშნული შემთხვევა გვაქვს შეცდომით დადებული გარიგებების დროსაც, როდესაც გამოვლენილი ნებით არ მიიღწევა სასურველი შედეგი.

იმის გათვალისწინებით, რომ იძულებით დადებული გარიგება თავისი შინაარსით აღემატება შეცდომით დადებული გარიგების შინაარსს (პირის მიერ ნების გამოვლენის უგუვებელოფა), ასეთი გარიგების დადებისას, თუნდაც მხარეთა მიერ კონკრეტული სახის არსებითი შეცდომა იქნეს დაშვებული, შემთხვევა მოგვარდება იძულებით დადებული გარიგების კუთხით.

მოტყუებით ან იძულებით დადებული გარიგების შეცდომით დადებული გარიგებისაგან უპირველესი განმასხვავებელი ნიშანი არის ხანდაზმულობის

<sup>200</sup> იქვე, გვ. 379.

<sup>201</sup> იქვე.

<sup>202</sup> იხ. ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, გვ. 246.

<sup>203</sup> შეად. Kramer, Münchener Kommentar, გვ. 1186.

ვადები. თითოეული, ზემოთ მოყვანილი შემთხვევისთვის, კანონმდებლობა ითვალისწინებს განსხვავებულ ვადებს. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, მოტყუებით-იძულებით დადებული გარიგებებისთვის – ერთწლიანი შეცილების ვადაა გათვალისწინებული,<sup>204</sup> ხოლო შეცდომით დადებული გარიგებისთვის – ერთთვიანი ვადა.<sup>205</sup> მისი დარღვევისათვის დგება პირის სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულების საკითხი და საქმის კონკრეტულ შემთხვევად დაკვალიფიცირების ფუნქცია სასამართლოს ენიჭება.<sup>206</sup>

თუ შეცილების უფლების მქონე ადასტურებს საცილო გარიგებას 61 III მუხლის <sup>207</sup> მიხედვით, მაშინ შეცილების უფლება ქარწყლდება დამოუკიდებლად 84-ე მუხლით გათვალისწინებული ვადისა, თუმცა მხოლოდ მეორადი მოთხოვნების წარდგენით (როდესაც მყიდველს, ამასთან, შეცილების წინაპირობებიც გაცნობიერებული აქვს) არ მქვავნდება დადასტურების ნება.<sup>208</sup>

## VII საცილო გარიგების დადასტურება და შედეგები

ზემოთ განხილული გარიგებები, შეცილებაზე უფლებამოსილი პირის დადასტურების შედეგად სსკ-ის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად იძენე კანონიერ ძალას, ექცევიან კანონით განსაზღვრულ ჩარჩოებში და წარმოქმნიან იმ სამართლებრივ შედეგებს, რომლის მიღწევის მიზნითაც იქნენ დადებული.

ბათილი გარიგების დადასტურებისაგან განსხვავებით, საცილო გარიგების დადასტურება არ ნიშნავს გარიგების ხელახლა დადებას, ვინაიდან საცილო გარიგება შეცილებამდე ნამდვილია, „საცილო გარიგების დადასტურების უფლება აქვს მხოლოდ შეცილების უფლების მქონე პირს. განსხვავებით ბათილი გარიგებისაგან, რომლის ბათილობის პირობები კანონით არის განსაზღვრული, საცილო გარიგების ბათილობა ან ნამდვილობა შეცილების უფლების მქონე პირის ნებაზეა დამოკიდებული. ამიტომ გარიგების

<sup>204</sup> იხ. სსკ-ის 84-ე და 89-ე მუხლები.

<sup>205</sup> იხ. სსკ-ის 79-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>206</sup> იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 9 ნოემბრის განჩინება №ას-435-407-2010; იქვე მითითება აღწერილობით ნაწილში, თბილისის გლდან-ნამალადვის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

<sup>207</sup> რუსიაშვილი გ, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 84, ველის ნომერი 13. მითითებულია: იხ. მუხ. 61 მე-18 და შემდგომი ველები.

<sup>208</sup> იქვე.



დადასტურებას ამ პირის მიერ სხვა ფუნქცია აქვს — გარიგებისათვის ნამდვილობის მინიჭება, ვიდრე ბათილი გარიგების დადასტურების დროს.<sup>209</sup>

ნებისმიერი საცილო გარიგება შეიძლება იქნეს დადასტურებული, მათ შორის მოტყუებით ან შეცდომით დადებული გარიგებებისაც, მის შეცილებამდე. გამონაკლისი შეიძლება გათვალისწინებული იყოს იძულებით დადებული გარიგებებისათვის.<sup>210</sup>

საცილო გარიგების დადასტურების შედეგი არის ის, რომ საცილო გარიგება საბოლოოდ ხდება ნამდვილი,<sup>211</sup> ხოლო შეცილების უფლების მქონე პირი კი შესაბამისად კარგავს შეცილების უფლებას (61 III).<sup>212</sup>

საცილო გარიგების დადასტურებისათვის კანონით რაიმე სპეციალური ფორმის დაცვა არაა გათვალისწინებული, შესაბამისად დადასტურება, რაც შეცილების უფლებაზე უარის თქმას გულისხმობს, შეიძლება კონკლუდენტურადაც გამოიხატოს, მაგალითად, შეცდომით დადებული გარიგების შესრულებით. დადასტურება ასევე შეიძლება განხორციელდეს დუმილითაც.<sup>213</sup>

საცილო გარიგების დადასტურება, მართალია, წარმოადგენს ნების გამოვლენას, მაგრამ მას ნამდვილობისათვის არ სჭირდება მეორე მხარის მიერ მისი მიღება, <sup>214</sup> განსხვავებით შეცილებისაგან, რომლის ნამდვილობისათვის აუცილებელია ადრესატის მიერ მისი მიღება (59 II). აქედან გამომდინარე, საცილო გარიგების დადასტურება არის ცალმხრივი ფორმათავისუფალი გარიგება.<sup>215</sup>

## VIII შედარებითი ანალიზი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე დადასტურების ინსტიტუტის მოწესრიგებასთან მიმართებით

გერმანიის სამოქალაქო კოდექსში გარიგებათა დადასტურებას ორი დამოუკიდებელი მუხლი აქვს დათმობილი, რაც არსებითად სწორია მიდგომაა, ვინაიდან ბათილო და საცილო გარიგებების ერთი ნორმის ქვეშ გაერთიანება, როგორც ეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსშია მოცემული არამართებულია, ვინაიდან იგი იწვევს გარკვეულ ბუნდოვანებას თითქოს

<sup>209</sup> ლადო ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 61, ველის ნომერი 19.

<sup>210</sup> შდრ. MüKo/Busche, BGB, 6 Aufl., 2012, §144 Rn. 2.

<sup>211</sup> შდრ. Wendtland, in Beck OK BGB, § 144 Rn. 9.

<sup>212</sup> №ას-341-322-2014 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება 27.04.2015

<sup>213</sup> ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 61, გვ. 199.

<sup>214</sup> შდრ. Wendtland, in Beck OK BGB, § 144 Rn. 5.

<sup>215</sup> შდრ. Jauernig, BGB, 14. Aufl., 2011, § 144, Rn. 2.

საცილო და ბათილი გარიგებების დადასტურება ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი შემთხვევას არ წარმოადგენს და ერთგვარად იქნმნება შთაბეჭდილება, რომ საცილო და ბათილ გარიგებათა შორის ზღვარი იშლება და დადასტურებისას არ განსხვავდება მათი, როგორც წინაპირობები, ასევე შედეგები.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 141 პარაგრაფი განსაზღვრავს ბათილი გარიგების დადასტურების შესაძლებლობას, კერძოდ კი: თუ პირი, რომელიც დებს ბათილ გარიგებას, ადასტურებს მას, მაშინ მისი დადასტურება განიხილება, როგორც გარიგების ხელახლა დადება. მეორე ნაწილის თანახმად კი თუ ბათილი ხელშეკრულება დასტურდება მხარეთა მიერ, მაშინ საეჭვოობისას ისინი ვალდებული არიან, გადასცენ ერთმანეთს ის, რასაც იქონიებდნენ, ხელშეკრულება თავიდანვე ნამდვილი რომ ყოფილიყო.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 144 პარაგრაფი კი დამოუკიდებლად ადგენს საცილო გარიგებათა დადასტურების საფუძველსა და შედეგებს, რომლის თანახმადაც შეცილების უფლება გამოირიცხება შეცილებაზე უფლებამოსილი პირის მიერ საცილო გარიგების დადასტურების შემდეგ, და ამავედროულად დადასტურება არ საჭიროებს კანონით მკაცრად განსაზღვრულ ფორმას,

საცილო მაგრამ ჯერ კიდევ შეუცილებელი გარიგება არის ნამდვილი. შესაბამისად დადასტურება გსკ-ის § 144 თანახმად უნდა განხორციელდეს შეცილებამდე, ვინაიდან იგი ეხება და ითვალისწინებს მხოლოდ ნამდვილი გარიგების<sup>216</sup> დადასტურების შესაძლებლობას. განსხვავებით § 141-ისაგან ეს დადასტურება წამოადგენს არა ბათილი გარიგების ხელახალ შესრულებას, არამედ მხარის მიერ გამოვლენილ ცალმხრივ ნებას უარი თქვას შეცილების უფლებაზე.<sup>217</sup> დადასტურების შედეგად მოლოდინის რეჟიმი შეცილების

---

<sup>216</sup> BGH 2804.1971, NJW 1971, 1795, 1800m. anm. Giesen; Seip v. Engelbrecht, Die Bestätigung nichtiger und anfechtbarer Rechtsgeschäfte (Diss, Erlangen 1907) 57 f.: Wurmstich. Die Bestätigung nichtiger und anfechtbarer Rechtsgeschäfte nach dem Bürgerlichen Gesetzbuch (Diss. Jena 1910) 36, 40; Hans Nagel, Die Die Bestätigung nichtiger und anfechtbarer Rechtsgeschäfte nach dem Bürgerlichen Gesetzbuch (Diss. Jena 1911) 29 f.; Erman(-Palm), BGB I: §§ 1-853 BGB usw. (2000) § 144 BGB Rn. 1; Jauernig(-Jauernig). BGB(2003) § 144 BGB Rn. 1.

<sup>217</sup> Prot. I 134; RG 20.5.1908, RGZ 68, 398, 400; 25.1.1935, HRR 1935 Nr. 924; Bag 20.11.1969, AP Nr. 16 zu § 123 BGB Bl. 3R m. Anm. Herschel (Juli 1970) BayObLG 12.3.1954, NJW 1954, 1039, 1040; L. Cohn, Gruchot 47 (1903), 221, 278 f.; v. der Groeben, Der Einredbegriff nach dem BGB. Und sein Verhältnis zum Anfechtungsbegriff (Diss. Rostock 1903) 68; Seip v. Engelbrecht (Fn.52), 59-31; Brinckmann, Die Anfechtung einer Willensklärung wegen arglistiger Täuschung nach dem Bürgerlichen Gesetzbuch unter besonderer Berücksichtigung der Verträge zugunsten Dritter und der erbrechtlichen Willensklärung (Diss. Leipzig 1907) 100; Wurmstich (Fn.5), 37 f.; Lieven, Das nichtige und das anfechtbare Rechtsgeschäft nach dem Rechte des Bürgerlichen Gesetzbuches (Diss. Erlagen 1909) 54; Friedrich Fischer, Die Rücknahme einer Willenserklärung nach § 812 BGB., verglichen mit

უფლების არსებობის გამო სრულდება,<sup>218</sup> და შესაბამისად მიიღწევა გარიგების მოქმედების საბოლოო შედეგი. ამასთანავე დადასტურების დადებით ეფექტს თავისთავად არ აქვს არავითარი აზრი ვინაიდან სცილდება უარყოფითი ეფექტის ფარგლებს და იწვევს შეცვილების უფლების გაუქმებას.<sup>219</sup>

თუმცადა გსკ-ის § 144 აღარ გამოიყენება მას შემდეგ რაც შეცვილება განხორციელდა.<sup>220</sup> შეცვილების უფლების გამოყენების შემდგომ გარიგება ავტომატურად ბათილდება. მისი დადასტურება კი უკვე შესაძლებელია<sup>221</sup> მხოლოდ გსკ-ის § 141 ნორმის ფარგლებში და ექსკლუზიურად ახალი „გარიგების“ დადების გზით. ბათილი გარიგება ვერ იქცევა ნამდვილად შესაბამისად უნდა შეიქმნას/დაიდოს თავიდან.<sup>222</sup> ეს ახალი შესრულება მოითხოვს იმ ფორმას, რომელიც დადგენილი გარიგებისათვის.<sup>223</sup> ორმხრივი

---

der Anfechtung einer Willenserklärung wegen Irrtums (Diss, Breslau 1910) 40; Rudolf Schmidt, Anfechtung wegen Eigenschaftsirrtums und Wandelungsanspruch beim Kauf in ihrem Verhältnis zueinander (Diss, Bonn 1910) 66; Roll, Die Einwirkung einer Vermichtung oder Verschlechterung der Kaufsache auf das Anfechtungs – und auf das Wandelungsrecht des Käufers (Diss, Erlangen 1911) 22; Klihm, Die Rechtsgeschäftliche Anfechtung nach dem Bürgerlichen Gesetzbuch (Diss. Rostock 1911) 20; Hans Nagel (Fn.52), 30; Alfred Böhm, Die Bestätigung nichtiger Rechtsgeschäfte (Diss. Greifswald 1926) 36; Endemann, JW 1929, 1459; Soergel(-Wolfgang Hefermehl), BGB I: § § 1-240 BGB; HwiG (1978) § 144 BGB Rn. 1; Larenz, Allgemeiner Teil des deutschen Bürgerlichen Rechts (1989) 480 (§ 23 V b); Erman (-Palm) (Fn.52), § 144 BGB Rn. 1; Heinz Hübner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs (1996) Rn. 962; Medicus (Fn.43), Rn. 534; Brehm, Allgemeiner Teil des BGB (2002) Rn. 385; Helmut Köhler, BGB Allgemeiner Teil (2002) §22 Rn. 28. Die ausdrückliche Qualifikation als Verzicht lehnen Flume, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts II: Das Rechtsgeschäft (1979) 568 f. (§ 31,7); Münchener Kommentar zum BGB (-Mayer-Maly/Busche), I: § § I-240 BGB; AGBG (2001) § 144 BGB Rn. 2 ab, ohne jedoch eine überzeugende Alternative präsentieren zu können.

<sup>218</sup> Peter Mankowski Beseitigungsrechte – Anfechtung Widerruf und verwandte Institute, Habilitationsschrift Fn. 1112-1113. (2003).

<sup>219</sup> იქვე: Für die gegenteilige Behauptung bleibt Flume (Fn. 53), 568 f. (§ 31, 7) die Begründung schuldig.

<sup>220</sup> RG 22.1.1927. JW 1927, 1081, 1082 (insoweit nicht in RGZ 116, 15) (dazu Krückmann, JW 1927, 2404; Gotthard Brandis, JW 1927, 3001; Manigk, JW 1927, 402, 3001); BGH 17.11.1978, WM 1979, 235, 237; KG 31.1.1972, DB 1972, 768, 769 = OLGZ 1972, 402, 404; v. Der Groeben (Fn. 53). 69; Wurmstich (Fn.52), 50 Lieven (fn.53) 54; Rudolf Schmidt (fn.53), 66; Roll (Fn.53), 26; Soergel (-Wolfgang Hefermehl), BgB I: § § 240; HwiG (1987) § 144 BGB Rn.7.

<sup>221</sup> RG 22.4.1940, RGZ 74, 1, 3; 10.3.1923, JW 1924, 404, 405 m, Anm, Manigk; 22.1.1927, JW 1927, 1081, 1082 (insoweit nicht in RGZ 116, 15); OLG Braunschweig 27.3.1903, OLGE 8 (1904), 25, 26 f.; OLG München 6.4.1907, SeuffArch 63 (1908) Nr. 3 S. 4; Kipp, FG Richard Koch (1903), 110, 112; Biermann, Bürgerliches Recht I: Allgemeine Lehren und Personenrecht (1908) 193 (§ 56.5): Georg Rosenthal, Die rechtliche Natur und die Wirkungen der Bestätigung nichtiger und anfechtbarer Rechtsgeschäfte nach dem Bürgerlichen Gesetzbuche unter Berücksichtigen des gemeinen Rechts (Diss. Jena 1911) 62 f.; Alfred Böhm (Fn.53), 34 sowie die Nachweise in der vorigen Fn. Und LAG Heidelberg 21.9.1949, AP 1950 Nr. 217 S. 155 m. zust. Anm. Alfred Hueck.

<sup>222</sup> Friedrich Endermann, JW 1929, 1459.

<sup>223</sup> RG 19.12.1934, RGZ 146, 234, 238; OLG Rostock 22.12.1909, OLGE 22 (1911), 146 f.; OLG Naumburg 13.2.1912, OLGE 24 (1912), 288; OLG Kiel 16.11.1922, OLGE 42 (1922), 264,

ხელშეკრულების პირობებში, ეს შეუძლებელია მხოლოდ ერთი მხარის მიერ შეცვლების უფლებაზე უარის თქმის შემთხვევაშიც კი, საჭიროა მოწინააღმდეგე მხარის ურთიერთანამშრომლობა და პოზიტიური ქმედების განხორციელება, - ციტირება: „თანხმობა“ იმ მხარისა, რომელიც არის შეცვლების ადრესატი ან საუკეთესო შემთხვევაში დაადგინოს <sup>224</sup> სავალდებულო უკუეფექტი, კერძოდ კი მხარეები პირობას დებენ, რომ ისე მოეპყრობიან ერთმანეთს თითქოს ურთიერთობა, არც არასოდეს აღმოფხვრილა.

მეორე მხრივ გსკ-ის § 141 შეგნებულად აადვილებს დადასტურებას შეცვლებამდე, განსხვავებით შეცვლების შემდგომი დადასტურებისა, რომელიც გათვალისწინებულია გსკ-ის § 144 თანახმად: <sup>225</sup> მხარეთა ურთიერთანამშრომლობის ნება ამ დროს არსებითი და საჭირო არ არის. გსკ-ის § 141 საფუძველზე დადასტურება წარმოადგენს შეცვლების უფლების მქონე პირის მიერ ამ უფლების განკარგვაზე უარის თქმას. მხოლოდ შეცვლების უფლების მქონე პირის ნებას ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა, და მხოლოდ მისი განზრახული ქმედებითაა შესაძლებელი დადასტურებისათვის აუცილებელი ნების გამჟღავნება, რომელიც ასევე დაფუძნებულია შეცვლების უფლების არსებობის ცოდნაზე <sup>226</sup> და მოცემული უფლების დანიშნულების მკაფიო აღქმაზე. ეს ვითარება ფუნდამენტურად იცვლება, შეცვლების უფლების გამოყენებასთან ერთად, რომელიც იწვევს ნების ძირეულ მოდიფიცირებას და განსხვავებული მიმართულების განსაზღვრას საბოლოოდ კი ამ ქმედებით იქმნება სრულიად ურთიერთსაწინააღმდეგო შედეგი.

საკითხი იმისა შესახებ, დადასტურების გაცხადება არის თუ არა მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა არაა ერთგვაროვნად გადაწყვეტილი. სასამართლო პრაქტიკის, <sup>227</sup> ისევე, როგორც გაბატონებული შეხედულების <sup>228</sup> თანახმად იგი არაა მიღებასავალდებულო. თუმცადა მოწინააღმდეგე მხარისათვის, რომელსაც უფლება აქვს გაასაჩივროს ამგვარი გადაწყვეტილება, იქმნება გარკვეული სამართლებრივი გაურკვეველობა და შესაბამისად ამ მოსაზრებას ბევრი მოწინააღმდეგე ყავს. აღნიშნული

---

Enneccerus/Nipperdey, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts 2. HB. (1960) 1229 Fn; Brox, Allgemeiner Teil Des BGB (2002) Rn. 389.

<sup>224</sup> Georg Rosenthal (Fn.57), 63.

<sup>225</sup> Mayer-Maly. EWiR § 144 BGB 1/90, 335 f.

<sup>226</sup> ob. BGH 12.11.1957, NJw 1958, 177; 28.4.1971, NJW 1971, 1795, 1800 m. Anm. Giesen; 29.9.1982, WM 1982, 1249, 1251; 2.2.1990, BGHZ 110, 220, 222 (dazu Mayer-Maly, EWiR § 144 BGB 1/90.335).

<sup>227</sup> RGZ 68, 398.

<sup>228</sup> Palandt/ Ellenberger, 71. Auflage 2012, § 144 Rn. 2; Prütting/ Wegen/ Weinreich/ Ahrens, 7. Auflage 2012, § 144 Rn. 1.

თავისმხრივ კი ასევე გულისხმობს, რომ შეცილებაზე უფლებამოსილი პირი, არაა შეზღუდული დადასტურებით თუ კი მან არ მოხდინა მისი გაცხადება მოწინააღმდეგე მხარისადმი.<sup>229</sup>

კანონის არსებულმა თანმიმდევრულმა გამოყენებამ, რომ დადასტურება შეცილების შემდგომ შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ გსკ-ის § 144 თანახმად, წარმოშვა ბრალდება, რომ სამართლებრივი ნორმის ლოგიკის უგულვებელყოფით მოხდა მისი გაფართოება, რაც ეწინააღმდეგება კანონმდებლის ნებას.<sup>230</sup> პირი რომელიც უარს აცხადებს და შეცილების გამოხმობა სურს, წინააღმდეგობრივად იქცევა. კანონმდებელს სურს თავიდან აიცილოს სწორედ ისეთი ქცევა, რომელიც დაფუძნებული არაა რწმენასა და ნდობაზე. ნათელია არაა, თუ რატომ წარმოიშვება განსხვავებული სამართლებრივი შედეგები და კონსტრუქციები, მხოლოდ იმ ფაქტის გათვალისწინებით თუ როდის მოხდა დადასტურება შეცილებამდე თუ მის შემდეგ.<sup>231</sup> ეს შედეგი არ მიემართება მხოლოდ ამ პრობლემას და ვრცელდება ზოგადად შეცლების უფლებაზე.

გერმანული სამართლის შესაბამისად ბათილი სამართლებრივი გარიგება დარჩება არანამდვილად, მიუხედავად ბათილობის საფუძვლის შემდგომში ამოწურვისა.<sup>232</sup> თუმცადა გსკ-ის § 141 ითვალისწინებს შესაძლებლობას, რომ კანონიერმა გარიგებამ შეიძინოს ძალა მისი გამარტივებული პირობების საფუძველზე დადასტურების მომენტიდან. დადასტურება არ მოითხოვს ახალი გარიგების შერულებას, იგი ნამდვილია უკვე არსებულთან მიმართებით.<sup>233</sup> ეს შესაძლოა დაკავშირებული იყოს ხელშეკრულების ცვლილებასთან ან ცვლილების შესახებ შეთანხმებასთან.<sup>234</sup>

გსკ-ის § 144 მუხლით გათვალისწინებული დადასტურება ეხება ჯერ კიდევ მოქმედ ნამდვილ საცილო გარიგებას, და შედეგად მივყავართ შეცილების უფლების დაკარგვამდე. მას შედარებით დაბალი მოთხოვნების აქვს და ნების გამოვლენის მიღება სავალდებულო არაა.<sup>235</sup> მას შემდეგ რაც გარიგება

---

<sup>229</sup> Medicus, Rn. 534.

<sup>230</sup> OLG Dresden 23.4.1909, SeuffArch 64 (1909) Nr. 182 S. 388 = DJZ 1910 Sp. 599. Dagegen Wurmstich (Fn. 52), 51.

<sup>231</sup> Vgl. OLG Dresden 23.4.1909, SeuffArch 64 (1909) Nr. 182 S. 388=DJZ 1910 Sp. 599 f.

<sup>232</sup> Kohle JuS 84, 511.

<sup>233</sup> BGH NJW 99, 3705 [BGH 28.09.1999 - XI ZR 90/98], Medicus AT Rz 532.

<sup>234</sup> BGH NJW 12, 1570 [BGH 10.02.2012 - V ZR 51/11] Tz 21).

<sup>235</sup> RGZ 68, 398.

შეცილებული იქნა, დადასტურება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ გსკ-ის § 141 თანახმად.<sup>236</sup>

ესაა სამართლებრივი შედეგი, რომელიც დამოუკიდებელია შესაბამისი სამართლებრივი ნებისაგან - გსკ-ის §§ 311b I 2, 518 II, 766 3 შესაბამისად.

მხარეთა ჰიპოთეტური განზრახვიდან გამომდინარე მხარდაჭერა ხდება გარიგებისა, რომლის შინაარსი განსხვავდება პირვანდელისაგან, და არ მოითხოვს ხელშეკრულების განახლებას.

მხოლოდ იმ გარიგებებთან დადასტურებაა შესაძლებელი, რომლებიც ბათილია მოცემული ნორმების თანახმად §§ 105 I, 116 2, 117 I, 118, 125 I, 134, 138, 142 I. შეცილების უფლების გამოყენებამდე დადასტურება ხორციელდება გსკ-ის § 144 თანახმად<sup>237</sup>, თუმცა ანალოგიის გამოყენება შესაძლებლობაა გათვალისწინებული § 312g IV პარაგრაფის საფუძველზე.

დადასტურების კონკლუდენტურად გაცხადების შემთხვევაში, ფაქტების გარეგანი გამოხატულება უნდა ადასტურებდეს, რომ გარიგება ნამდვილია მიუხედავად მისი ბათილობის მიმართ არსებული ეჭვებისა.<sup>238</sup> მოცემულ შემთხვევაში შესაბამისი ცოდნა გარიგების ბათილობის შესახებ, ან თუდაც ეჭვის არსებობა გარიგების ნამდვილობასთან მიმართებით საჭიროა.<sup>239</sup> სწორედ ამიტომ მხარდაჭერა იმ გარიგებისა, რომელიც ცნობილი არ ყოფილა ბათილად ვერ იქნება მიჩნეული დადასტურებად.<sup>240</sup> იგივე ითქმის, როდესაც მხარეები ცვლიან ბათილ ხელშეკრულებას იმ მხარის სასარგებლოდ, რომელიც არახელსაყრელ ვითარებაში იმყოფებოდა,<sup>241</sup> ამგვარ ვითარებაში ნაგულისხმევი დადასტურება ასევე ეფექტურია.<sup>242</sup> დადასტურება შესაძლოა გამოიხატოს შესრულებით<sup>243</sup> ან გარიგებაში შესაბამისი ცვლილების შეტანით.<sup>244</sup>

დადასტურების მომენტში შესრულებული უნდა იქნას ნამდვილობის ყველა წინაპირობა. შეთანხმება უნდა იქნას ასახული გარიგებაში თუმცა არაა აუცილებელი დადგენილი და განმარტებული იქნეს ყველა პირობა, რომელიც

---

<sup>236</sup> BGH NJW 71, 1800.

<sup>237</sup> იქვე: BGH NJW 71, 1800

<sup>238</sup> Staud/Roth § 141 Rz 20; Medicus AT Rz 531.

<sup>239</sup> BGH NJW 82, 1981 [BGH 06. 05. 1982 - III ZR 11/81]; 95, 2290; NZG 08, 471 [BGH 17. 03. 2008 - II ZR 239/06] para 15.

<sup>240</sup> BGH NJW 95, 2290 [BGH 10. 05. 1995 - VIII ZR 264/94]; 10, 1364 para 66 declaratory reference.

<sup>241</sup> BGH NJW 12, 1570 [BGH 10. 02. 2012 - V ZR 51/11] para 21.

<sup>242</sup> BGHZ 11, 60; 138, 347.

<sup>243</sup> BGH WM 83, 232.

<sup>244</sup> BGHZ 7, 163; NJW 82, 1981 [BGH 06. 05. 1982 - III ZR 11/81].

წარმოდგენილი იყო პირველად ხელშეკრულებაში. საკმარისია მხარეები რომელთათვისაც ცნობილია აღნიშნულის თაობაზე სათანადო წესით იყვენენ მითითებული გარიგებაში.<sup>245</sup> ბათილობის საფუძველის შენარჩუნება არ უნდა მოხდეს. მორალური ან ზნეობრივი დარღვევების შემთხვევაში ამგვარი წინააღმდეგობები უცილოდ უნდა აღმოფხვრას.<sup>246</sup> კანონდარღვევის პირობებში, იმპერატიული ნორმის მოთხოვნა დაცული უნდა იქნეს.<sup>247</sup> გარიგებისათვის სავალდებულო ფორმა აუცილებლად დაცული უნდა იქნეს, მიუხედავად იმისა იყო თუ არა გარიგება ბათილი ფორმის დაუცველობისა თუ სხვა საფუძვლის გამო,<sup>248</sup> რაც ასევე მართებულია თუ ფორმის სავალდებულოება უარყოფილი იქნა ამ დროის განმავლობაში.<sup>249</sup> საკმარისია თუ შეთანხმებაში მითითებული იქნება იმ გარიგების შესახებ, რომელიც ექვემდებარება დადასტურებას.<sup>250</sup>

დადასტურებას უკუძალა არ აქვს. ხელშეკრულება ძალაშია მისი დადასტურების მომენტიდან.<sup>251</sup> ხელშეკრულების პირობებში, გსკ-ის § 141 II განმარტების შესაბამისად, საექვობისას მხარეები ვალდებულნი არიან ერთმანეთი დააბრუნონ იმგვარ მდგომარეობაში, რომელიც იარსებებდა გარიგება დადების მომენტიდანვე ნამდვილი რომ ყოფილიყო. მხარის ნებისაგან გადახვევა არ უნდა იწვევდეს არავითარ ექვს.<sup>252</sup> განმარტების არსებული წესი აქცევს ურთიერთობას ვალდებულებითი სამართლის ფარგლებში.<sup>253</sup>

თუნდაც წარმატებით დადებული გარიგება შესაძლოა გახდეს უსარგებლო თუ შეცილებული ან გაბათილებული იქნება. ძირითადი მიზეზი ბათილობისა იკვეთება მაშინ, როცა ხელშეკრულება წინააღმდეგობაში მოდის სამართლებრივ ფორმასთან სახეზეა ნების ნაკლი ან იკვეთება კანონის მოთხოვნების იგივე იმპერატიული ნორმების დარღვევა.

იმპერატიული ნორმებით დადგენილი მოთხოვნები არ ექვემდებარება მხარეთა ნებას, მხარეთა შორის მიღწეულ ვერანაირ შეთანხმებას ვერ ექნება უპირატესობა კანონით დადგენილ მოთხოვნებთან მიმართებით.

<sup>245</sup> BGH NJW 82, 1981 [BGH 06.05.1982 - III ZR 11/81]; 99, 3705.

<sup>246</sup> BGH NJW 73, 466, 82, 1981 f; Kohte JuS 84, 509.

<sup>247</sup> BGHZ 11, 60.

<sup>248</sup> BGH NJW 85, 2580, Soergel / Hefermehl § 141 Rz 7, Staud / Roth § 141 Rz 16.

<sup>249</sup> BGH NJW 73, 1367.

<sup>250</sup> BGH NJW 99, 3705 [BGH 28.09.1999 - XI ZR 90/98].

<sup>251</sup> BGHZ 54, 63; NJW 99, 3705 [BGH 28. 09. 1999 - XI ZR 90/98]; BAG NJW 05, 2334; 3596.

<sup>252</sup> RG JW 31, 2227.

<sup>253</sup> BaRoth / Wendtland § 141 Rz 12.

გერმანულ სამართალში დამკვიდრებული ორი ძირითადი საფუძველი რომლითაც შეზღუდულია ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი: გარიგება ბათილია თუ ის არაკანონიერი ან ამორალურია.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის თანახმად ბათილი გარიგების დადასტურება ძირითადად ყოველთვის არ გამორიცხავს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას შეცილებაზე უფლებამოსილი პირის მიერ.

ასევე საცილო გარიგების დადასტურება გსკ-ის § 144 (1) თანახმად არ გამორიცხავს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას იმ მხარის მიერ, რომელსაც აქვს შეცილების უფლება. თუმცადა როგორც წესი დადასტურების გაცხადება თავის თავში მოიაზრებს შეთავაზებას მოწინააღმდეგე მხარისადმი, რომელიც იწვევს საცილო გარიგების დასრულებას და შესაბამისად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მქონე პირის საწყის ეტაპზე დაბრუნებას, თითქოს ხელშეკრულება არც არასოდეს დადებულია იმ გარემოებების გამო, რაც გახდა ასეული ბათილობის საფუძველი.

გამომდინარე იქედან, რომ საცილო მაგრამ ჯერ კიდევ შეუცილებელი გარიგება ნამდვილია ყოველგვარი წინაპირობის გარეშე,<sup>254</sup> მისი დადასტურებას გსკ-ის § 144 I თანახმად მიყვავართ შეცილების უფლების დაკარგვამდე. ის ადგენს შედარებით დაბალ სტანდარტს ვიდრე გსკ-ის § 141 და არ მოითხოვს ნების გაცხადებას, რომელიც მიღებულ უნდა იქნეს ვინაიდან უცხო პირთა ინტერესები არ ილახება შეცილებამდე.<sup>255</sup> შეცილების უფლების გამოყენების შემდგომ დადასტურება შესაძლებელია გსკ-ის § 141 შესაბამისად.<sup>256</sup>

გარიგება უნდა იყოს საცილო მაგრამ ჯერ კიდევ არ უნდა იყოს შეცილებული, დადასტურების ნება უნდა იყოს გაცხადებული მაგრამ არ მოითხოვს მკაცრად განსაზღვრულ ფორმას, გსკ-ის § 144 II პარაგრაფის შესაბამისად. სასამართლო პრაქტიკის თანახმად, მხარე რომელიც ადასტურებს საცილო გარიგებას უნდა იცოდეს ან სულ მცირე გააზრებული უნდა ჰქონდეს შეცილების შესაძლებლობის შესახებ,<sup>257</sup> თუმცადა (as in § 141 marginal 7) ნების გამოხატვა და დადასტურებაზე თანხობა გადამწყვეტია.

<sup>254</sup> BGH NJW-RR 87, 1456 [BGH 01. 07. 1987 - VIII ZR 331/86].

<sup>255</sup> RGZ 68, 398; Wolf/Neuner AT § 42 Rz 169; aA Larenz/Wolf AT, 9th Aufl, § 44 Rz 28.

<sup>256</sup> BGH NJW 71, 1800.

<sup>257</sup> BGHZ 110, 222; NJW 58, 177; 71, 1800; 95, 2291.



დადასტურება შესაძლოა იყოს გადაწყვეტი<sup>258</sup> თუ კი ნება ხელშეკრულების შენარჩუნების თაობაზე თვალსაჩინო ხდება მხარეთა ქცევიდან გამომდინარე, შეცილების საფუძვლის შესახებ ცოდნის მიუხედავად. ქმედების სხვაგვარი რაციონალური ინტერპრეტაცია უგულებელყოფილი უნდა იქნეს.<sup>259</sup> დადასტურების სახედ შეიძლება განხილულ იქნეს ნებაყოფლობითი შერულება.<sup>260</sup> საგარანტიო უფლებათა დადასტურება (ზიანი, გასვლა), როგორც წესი არაა საკმარისი.<sup>261</sup>

დადასტურებას მივყავართ შეიცლების უფლების დაკარგვამდე. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლოა დარჩეს ნამდვილი, თუ განმარტება სხვა შედეგამდე არ მიგვიყვანს.<sup>262</sup> ის ვინც მიმართავს დადასტურებას მტკიცების ტვირთიც შესაბამისად მასზეა.

გერმანიის მსგავსი მოწესრიგებაა შემოთავაზებული ესტონეთის სამოქალაქო კოდექსის აქტში კერძოდ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლადაა განხილული ბათილი და საცილო გარიგებათა დადასტურების შესაძლებლობა.

ბათილ გარიგებათა დადასტურების მიმართებით ესტონეთის სამოქალაქო კოდექსის აქტის ზოგადი ნაწილის § 84 პარაგრაფის თანახმად, თუ გარიგების ბათილობის საფუძველი აღმოიფხვრება, მონაწილე მხარეს უფლება აქვს გამოთქვას გარიგების დადასტურების სურვილი. მრავალმხრივი ხელშეკრულების შემთხვევაში დადასტურება უნდა მოხდეს ყველა მხარის მიერ. გარიგება ძალაში შედის დადასტურების მომენტიდან. მხარეებს მრავალმხრივი გარიგების დადასტურების შემდგომ წარმოეშობათ ვალდებულება განახორციელონ შესურლება, რომელსაც ისინი მიიღებდნენ გარიგება თავიდანვე ნამდვილი, რომ ყოფილიყო.<sup>263</sup>

შეცილების უფლების მქონე პირი კარგავს შეცილების უფლებას საცილო გარიგების დადასტურების შემდეგ, დადასტურება უნდა მოხდეს იმ ფორმით, როგორც თავად გარიგებაა წარმოდგენილი. იმ შემთხვევაში თუ შეცილებაზე უფლებამოსილი პირი შეასრულებს გარიგებიდან გამომდინარე ვალდებულებას საცილობის საფუძვლის შესახებ შესაბამისი ცოდნის მიუხედავად, მხარის ქმედება მიიჩნევა დადასტურებად.<sup>264</sup>

<sup>258</sup> BGH NJW 67, 721 [BGH 31. 01. 1967 - V ZR 125/65].

<sup>259</sup> BGHZ 110, 222; NJW 71, 1800.

<sup>260</sup> RGZ 104, 3; not, if in the tenancy only the additional costs are paid BGH NJW-RR 92, 780 [BGH 20. 02. 1992 - III ZR 193/90].

<sup>261</sup> BGHZ 110, 222; NJW 58, 177.

<sup>262</sup> AnwK/Feuerborn § 144 Rz 13.

<sup>263</sup> ესტონეთის სამოქალაქო კოდექსის აქტის ზოგადი ნაწილი § 84. (3)-(4).

<sup>264</sup> ესტონეთის სამოქალაქო კოდექსის აქტის ზოგადი ნაწილი § 100. (1)-(2).

თუ გარიგების ერთი მხარე მეორე მხარეს მიმართავს შეთავაზებით, შეცილების ვადის დაწყების შემდეგ, დაადასტუროს ან ბათილად ცნოს გარიგება, და შეცილებაზე უფლებამოსილი პირი შესაბამის ქმედებას არ მიმართავს შეთავაზების მიღებიდან გონივრულ ვადაში, შეცილების უფლება სრულდება / წყდება.

## IX განსხვავება სხვა ინსტიტუტებისაგან

ბათილი გარიგების დადასტურება განსხვავდება სხვა მსგავსი ინსტიტუტებისაგან, რომელთაც სამოქალაქო კოდექსი იცნობს.

კონცეპტუალურად ყველაზე ახლოს მდგომ სამართლებრივ ინსტიტუტად შეიძლება მივიჩნიოთ გარიგების მოწონება (101). დადასტურებისა და მოწონების ინსტიტუტები შესაძლოა ურთიერთწინააღმდეგობაში მოვიდეს ერთმანეთთან, ისე რომ მათი აღრევა მოხდეს. თუმცა ძირითადი და თვალსაჩინო განსხვავება მოწონებასა და დადასტურებას შორის მოცემულ ქმედებათა განხორციელებაზე უფლებამოსილ პირთა შორისაა ვინაიდან დადასტურება ხდება გარიგების უშუალო მონაწილის<sup>265</sup> მიერ, მაშინ როდესაც გარიგებას იწონებს დამოუკიდებელი მესამე პირი, რომელიც გარიგების მხარე არაა.

მოწონება არის თანხმობასავალდებულო გარიგების დადების შემდეგ გამოთქმული თანხმობა.<sup>266</sup> ის არ წარმოადგენს მხოლოდ დროში გადაწეულ ნებართვას, არამედ სტრუქტურულად და ფუნქციურად დამოუკიდებელ სამართლებრივ ფიგურას.<sup>267</sup> მოწონებას აქვს უშუალო სამართლებრივი შედეგები მხარეებისათვის და ასევე მთელ რიგ შემთხვევებში თავად მომწონებლისათვისაც (111, 102 II). მოწონებას აუცილებლად უნდა ახასიათებდეს გარე ეფექტი – თანხმობასავალდებულო გარიგების ნამდვილად ქცევა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ ჩაითვლება მოწონებად<sup>268</sup> ამავდროულად მოწონება უკვე დადებული გარიგების ნამდვილად ქცევის მექანიზმია და არა ახალ გარიგებაზე გამოთქმული თანხმობა,<sup>269</sup> ამიტომაც ის ჯერ კიდევ არსებულ გარიგებას უნდა ეხებოდეს –

---

<sup>265</sup> Medicus, Rn. 529. შდრ. MüKo/Busche, BGB, 6 Aufl., 2012, §141 Rn. 6

<sup>266</sup> ზოიძე ბ., სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 101, გვ. 273.

<sup>267</sup> რუსიაშვილი გ, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 101, ველის ნომერი 1. მითითება: Müko/Bayreuther, BGB, 7. Aufl. 2015, § 184 Rn. 1.

<sup>268</sup> LAG Thüringen BeckRS 2011, 65685.

<sup>269</sup> ზოიძე ბ., სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 101, გვ. 273.

გარიგების დასრულების შემდგომ მოწონება უშედეგო ხდება.<sup>270</sup> 5 გარდა ამისა, მოცემული დანაწესი მოწონებას ანიჭებს უკუქცევით ძალასაც, რადგან მიიჩნევს, რომ თუ თანხმობასავალდებულო გარიგების მხარეებს დადების შემდეგ მისი ნამდვილობა სურთ, ეს ნამდვილობა ნასურვებია, როგორც წესი, დადების მომენტიდანვე.<sup>271</sup>

ამასთანავე გარიგების დადასტურება განსხვავდება შესრულებით გარიგების ნაკლის გასწორებისაგან ვინაიდან აღნიშნული არ წარმოადგენს დადასტურების ნაირსახეობას, რადგან შესრულება არ არის გარიგება, დადასტურება კი წარმოადგენს გარიგებას.<sup>272</sup>

არასრულყოფილად დამოწმებული გარიგების ხარვეზის გასწორებაც ვერ ჩაითვლება დადასტურებად, მაგალითად: მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულებას აკლდა რეესტრის ამონაწერი იპოთეკით ამ ნაკვეთის დატვირთვის თაობაზე, რაც მოგვიანებით დაემატა, მოცემული ქმედება არ წარმოადგენს დადასტურებას, რადგან გარიგება ამ შემთხვევაში არ არის ბათილი და მას არც დადასტურება არ სჭირდება.<sup>273</sup>

ბათილი გარიგების დადასტურება განსხვავდება ასევე გარიგების კონვერსიისაგან. პირველი, კონვერსიის დროს ხდება სხვა გარიგების გამოყენება, მაშინ როცა დადასტურებისას ხდება იმავე გარიგების დადება ხელახლა; მეორე, კონვერსიისათვის საკმარისია მხარეთა ჰიპოთეკური ნება, ხოლო დადასტურება მოითხოვს დადასტურების ნებას გამოკვეთილად ან კონკლუდენტურად.<sup>274</sup>

გარიგების კონვერსია ეწოდება ბათილი გარიგების ნაცვლად სხვა გარიგების გამოყენებას გარიგების მონაწილეთა მიერ დასახული მიზნის მისაღწევად.<sup>275</sup>

კონვერსიის მიზანი ბათილი გარიგების, უფრო ზუსტად კი მისი იმ ნაწილის შენარჩუნებაა, რომელიც შეესაბამება კანონის მოთხოვნებს და ასევე გარიგების მონაწილეთა ინტერესებს.<sup>276</sup> ამ გაგებით კონვერსიის მიზანი გარიგების მონაწილეთა სასურველი ნების შენარჩუნებაა.<sup>277</sup>

---

<sup>270</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 408.

<sup>271</sup> Bub, in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 184 Rn. 1.

<sup>272</sup> რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 101, ველის ნომერი 11. მითითება: შდრ. MüKo/Busche, BGB, 6 Aufl., 2012, §141 Rn. 7.

<sup>273</sup> რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 101, ველის ნომერი 12.

<sup>274</sup> იქვე.

<sup>275</sup> მუხ. 60 პროტოტიპი არის გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §140.

<sup>276</sup> შდრ. ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 400.

<sup>277</sup> შდრ. Jauernig, BGB, 14. Aufl., 2011, § 140, Rn. 1.

კონვენსია წარმოადგენს სპეციალურ საკანონმდებლო წესს, რომელმაც უნდა შეავსოს გარიგების ბათილობით გამოწვეული რეგულატორული ვაკუუმი.<sup>278</sup>

გარიგების კონვენსიის ერთ-ერთი წინაპირობა არის ბათილი გარიგების არსებობა, რომლის კონვენსიაც უნდა მოხდეს. გარიგების ბათილობის საფუძველს არა აქვს მნიშვნელობა.<sup>279</sup> ნამდვილი გარიგების კონვენსია დაუშვებელია.<sup>280</sup>

კონვენსიას არ შეუძლია ნების ნაკლის გამოსწორება.<sup>281</sup> თუ გარიგება ნების ნაკლის გამო (მოტყუება, შეცდომა, იძულება) არის შეცილებული და ბათილად იქნა ცნობილი, შესაბამისად ამ გარიგებათა კონვენსია გამორიცხულია.<sup>282</sup>

## X სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა

იურისპრუდენცია იცნობს კანონის ცნებას, როგორც დაწერილსა და პრაქტიკაში განხორციელებულს.<sup>283</sup> თავის მხრივ, სამართალი განვითარებას ვერ ჰპოვებს სახელმწიფოში, თუ მას არ ექნა დაწერილი, ნორმებში განმტკიცებული სახე,<sup>284</sup> ხოლო სახელმწიფო, როგორც სამართლებრივი სახელმწიფო კანონებში განმტკიცებული ნორმების პრაქტიკაში გამოყენებაზე აგებს თავის სამართლებრივ პრინციპებს.<sup>285</sup> აქედან გამომდინარე, სამართალს პრაქტიკაში,<sup>286</sup> უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბოლოო შედეგის მისაღწევად.

სამწუხაროდ ქართული სასამართლო პრაქტიკა დიდი მრავალფეროვნებითა და გადაწყვეტილებათა სიუხვით არ გამოირჩევა ბათილი და საცილო გარიგებათა დადასტურების კუთხით. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ნორმის საბაზისო განმარტება წარმოდგენილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილებაში კერძოდ კი პალატა აღნიშნავს, რომ, „სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ

<sup>278</sup> შდრ. MüKo/Busche, BGB, 6 Aufl., 2012, §140 Rn. 3

<sup>279</sup> შდრ. ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 400.

<sup>280</sup> შდრ. MüKo/Busche, BGB, 6 Aufl., 2012, §140 Rn. 12.

<sup>281</sup> შდრ. MüKo/Busche, BGB, 6 Aufl., 2012, §140 Rn. 14.

<sup>282</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 60, ველის ნომერი 12.

<sup>283</sup> Schramm Hans-Joachim, Das Privatrecht im Kaukasus und in Zentralasien, Bestandaufnahme und Etnwicklung, Berlin, 2010, გვ. 59

<sup>284</sup> იქვე. LAW IN THE BOOKS.

<sup>285</sup> იქვე. გვ. 59.

<sup>286</sup> იქვე, LAW IN ACTION.

პირი, რომელიც დებს უცილოდ ბათილ გარიგებას, ადასტურებს მას, მაშინ მისი მოქმედება განიხილება როგორც გარიგების ხელახლა დადება. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, გარიგების მხარე უფლებამოსილია, უცილოდ ბათილი გარიგება დაადასტუროს, რაც გამოიხატება იმაში, რომ მხარემ სასურველი გარიგება უნდა დადოს იმ წესით, რა წესიც კანონით დადგენილია ნამდვილი გარიგებისათვის.<sup>287</sup>

დადასტურების ინსტრუქციის მიმართებით ერთ-ერთი უახლესია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ოქტომბრის განჩინება № 2ბ/3965-17 ის გამორჩეულია, არა მხოლოდ მოცემული ინსტიტუტის არსებითად სწორი, საფუძვლიანი განმარტებითა და შეფასებით, არამედ ასევე წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების ტექნიკურად გამართულ და აკადემიური წერის სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით ერთ-ერთ გამორჩეულ ნიმუშს.

სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლი განამტკიცებს გარიგების ბათილობისას გარიგების მონაწილეების მიერ დასახული მიზნის მიღწევის ერთ-ერთ ინსტიტუტს — ბათილი გარიგების დადასტურებას. მუხლის მიზანია გარიგების მონაწილეთათვის მათი ნების განხორციელების შესაძლებლობის კიდევ ერთხელ მინიჭება, თუკი გარიგების ბათილობის საფუძვლები აღმოფხვრილი იქნება. ფაქტობრივად, საუბარია გარიგების ხელახლა დადებაზე, რადგან აღიარებული შეხედულების თანახმად ბათილი გარიგების გასწორება შეუძლებელია. დადასტურება ბათილ გარიგებას კი არ ასწორებს, ე.ი. მას კი არ აქცევს ნამდვილად, არამედ ნიშნავს გარიგების ხელახლა დადებას. სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლის მე-5 ნაწილით დადასტურების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობად მიჩნეული უნდა იქნეს ის ფაქტი, რომ არ უნდა არსებობდეს ხელახლა დასადები გარიგების ბათილობის სხვა საფუძველი. ამდენად, მითითებული ნორმით ის კი არ უნდა შევაფასოთ, რამდენად ეწინააღმდეგებოდა საჯარო წესრიგს თავდაპირველი გარიგება, არამედ ის, რომ ახალი გარიგება (დადასტურებული სახით) ხომ არ ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს და საჯარო წესრიგის მოთხოვნებს. ანუ კანონმდებელი კრძალავს დადასტურებას მაშინ, როდესაც დადასტურების გზით ნაკლის გამოსწორების შემდეგაც არსებობს გარიგების ბათილობის სხვა საფუძველი.

პალატა მიუთითებს, რომ მართალია, ბათილი გარიგება დადებისთანავე ბათილია, მაგრამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში გარიგების

<sup>287</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ივლისის განჩინება № ას-253-578-09.

მონაწილეებს აქვთ ბათილი გარიგების ნაცვლად ნამდვილი გარიგების დადების შესაძლებლობა. გარიგების ხელახლა დადების გზით გარიგების მონაწილეებს შეუძლიათ მართლზომიერად მიაღწიონ დასახულ მიზანს.<sup>288</sup>

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში ერთმნიშვნელოვნადაა ჩამოყალიბებული სსკ-ის 61-ე მუხლით განსაზღვრული მოქმედების არეალი.

- ❖ უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება ბათილად ითვლება მისი დადების მომენტიდან.
- ❖ თუ პირი, რომელიც დებს უცილოდ ბათილ გარიგებას, ადასტურებს მას, მაშინ მისი მოქმედება განიხილება, როგორც გარიგების ხელახლა დადება.
- ❖ თუ გარიგებას ადასტურებს შეცილების უფლების მქონე პირი, მაშინ იგი ამით კარგავს შეცილების უფლებას.
- ❖ თუ უცილოდ ბათილ ორმხრივ გარიგებას ადასტურებენ მხარეები, მაშინ ისინი საექვივობისას ვალდებულნი არიან ერთმანეთს გადასცენ ყველაფერი, რაც კი მათ შეხვდებოდათ, გარიგება თავიდანვე ნამდვილი რომ ყოფილიყო
- ❖ დადასტურება მხოლოდ მაშინ გახდება ნამდვილი, როცა ხელშეკრულება ან გარიგება არ ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს და საჯარო წესრიგის მოთხოვნებს.

ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლი განამტკიცებს გარიგების ბათილობისას გარიგების მონაწილეების მიერ დასახული მიზნის მიღწევის ერთ-ერთ ინსტიტუტს — ბათილი გარიგების დადასტურებას. მუხლის მიზანია გარიგების მონაწილეთათვის მათი ნების განხორციელების შესაძლებლობის კიდევ ერთხელ მინიჭება, თუკი გარიგების ბათილობის საფუძვლები აღმოფხვრილი იქნება. ფაქტობრივად, საუბარია გარიგების ხელახლა დადებაზე, რადგან აღიარებული შეხედულების თანახმად ბათილი გარიგების გასწორება შეუძლებელია. გარიგების დადასტურებას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მხოლოდ გარიგების ხელახლა დადებას. ახალი გარიგების დადებისაგან დადასტურება განსხვავდება იმით, რომ იგი გარიგების მონაწილეებს ათავისუფლებს ახალი გარიგების დადებისათვის აუცილებელი მოვალეობებისაგან და უიოლებს მათ დასახული მიზნის

<sup>288</sup> სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ოქტომბრის განჩინება № 28/3965-17.

მიღწევას: არ არის სავალდებულო ნების გამოვლენა თავიდან მოხდეს, შეთანხმებები გარიგების არსებით პუნქტებზე უცვლელი რჩება და ა.შ. გარდა ამისა, მხარეები ისე უნდა მოიქცნენ, თითქოს გარიგება თავიდანვე ნამდვილი იყო.<sup>289</sup>

ბათილი გარიგების დადასტურება შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყველა ბათილი გარიგების მიმართ, მიუხედავად გარიგების ბათილობის საფუძვლისა.

ვინაიდან შეუძლებელია ბათილი გარიგების გამოსწორება, ბათილი გარიგების დადასტურების გზით გარიგების მონაწილეებს შეუძლიათ, მიაღწიონ დასახულ მიზანს. დადასტურება ბათილ გარიგებას კი არ ასწორებს, ე.ი. მას კი არ აქცევს ნამდვილად, არამედ ნიშნავს გარიგების ხელახლა დადებას. დადასტურებით მხარეები ასწორებენ იმ ნაკლს, რამაც გარიგების ბათილობა გამოიწვია.

დადასტურების ფორმის შესახებ სამოქალაქო კოდექსი რაიმე ნორმებს არ შეიცავს, მაგრამ აღიარებული შეხედულების თანახმად, დადასტურებისათვის აუცილებელია ბათილი გარიგებისათვის დადგენილი ფორმის გამოყენება, მაშინაც, როცა გარიგების ბათილობა ფორმის შესახებ მოთხოვნის დარღვევას არ გამოუწვევია.<sup>290</sup>

აღნიშნულთან მიმართებით ასევე საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის დასაბუთება კერძოდ კი: „სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ პირი, რომელიც დებს უცილოდ ბათილ გარიგებას, ადასტურებს მას, მაშინ მისი მოქმედება განიხილება როგორც გარიგების ხელახლა დადება. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, გარიგების მხარე უფლებამოსილია, უცილოდ ბათილი გარიგება დაადასტუროს, რაც გამოიხატება იმაში, რომ მხარემ სასურველი გარიგება უნდა დადოს იმ წესით, რა წესიც კანონით დადგენილია ნამდვილი გარიგებისათვის.“<sup>291</sup>

პალატა მიუთითებს, რომ ბათილი გარიგების დადასტურების ინსტიტუტის მიზნებიდან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლის მე-5 ნაწილით დადასტურების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობად

<sup>289</sup> სააკველაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ოქტომბრის განჩინება № 28/3965-17.

<sup>290</sup> იხ.: ლადო ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2017, მუხლი 61, გვ. 363, ველი 16.

<sup>291</sup> №ას-253-578-09 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება 27.07.2009.

მიჩნეული უნდა იქნეს ის ფაქტი, რომ არ უნდა არსებობდეს ხელახლა დასადები გარიგების ბათილობის სხვა საფუძველი, ამდენად, მითითებული ნორმით ის კი არ უნდა შევაფასდეს, თუ რამდენად ეწინააღმდეგებოდა საჯარო წესრიგს თავდაპირველი გარიგება, არამედ ის, რომ ახალი გარიგება (დადასტურებული სახით) ხომ არ ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს და საჯარო წესრიგის მოთხოვნებს. ანუ კანონმდებელი კრძალავს დადასტურებას მაშინ, როდესაც დადასტურების გზით ნაკლის გამოსწორების შემდეგაც არსებობს გარიგების ბათილობის სხვა საფუძველი.

ასევე საინტერესო საკასაციო პალატის მსჯელობა მტკიცების ტვირთის გადანაწილების შესახებ, რომლის თანახმადაც, „მტკიცების ტვირთის განაწილებისას მნიშვნელოვანია, უპირველესად, მტკიცების საგნის განსაზღვრა, რაც სადავო ფაქტობრივი გარემოებებისაგან შედგება და ამ ფაქტობრივი გარემოებების ბუნებიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს მათი დადასტურების ვალდებულების დავის ერთ-ერთი სუბიექტისათვის დაკისრება.“<sup>292</sup>

სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლი განსაზღვრავს არა მხოლოდ ბათილობისა და საცილობის შემთხვევაში დადასტურების შესაძლებლობას, არამედ იძლევა მკაფიო მითითებას თუ როდიდან უნა იქნეს გარიგება მიჩნეული ბათილად, რასაც დიდ პრაქტიკული და სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს თანამდევრი სამართლებრივი შედეგების განსაზღვრის თვალსაზრისით. უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება ბათილად ითვლება მისი დადების მომენტიდან, დადების მომენტიდანვე ბათილად ჩაითვლება საცილო გარიგებაც, ოღონდ ეს ხდება მისი ბათილობის დადგენის შემდეგ.<sup>293</sup>

„დადასტურების ფაქტი სინამდვილეში განიხილება როგორც გარიგების ხელახლა დადება. დადასტურებით მხარეები ასწორებენ იმ ნაკლს, რამაც გარიგების ბათილობა გამოიწვია. ვთქვათ, მხარეებმა უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება არც სანოტარო წესით დაამოწმეს და არც საჯარო რეესტრში გაატარეს, მაშინ ასეთი გარიგება თავიდანვე ბათილი იქნება, მაგრამ თუ მხარეები თანახმანი არიან ძალაში დატოვონ თავიანთი ნების გამოვლენა (დადონ ხელშეკრულება) და ადასტურებენ მას, ეს ნიშნავს იმას, რომ მათ ეს ხელშეკრულება უნდა დაამოწმონ სანოტარო წესით და გაატარონ რეგისტრაციაში. ამ მოქმედებათა შესრულების შემდეგ, გარიგება ნამდვილად ჩაითვლება არა თავდაპირველი გარიგების დადების მომენტიდან, არამედ

<sup>292</sup> № ას-1227-1147-2017 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება 29.06.2018.

<sup>293</sup> № ას-770-1395-03 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინება 12.03.2004.



კანონით გათვალისწინებულ აუცილებელ ფორმაში მისი მოქცევის დროიდან. ეს ფაქტი განიხილება, როგორც გარიგების ხელშეორედ დადება.<sup>294</sup>

დადასტურების კონკლუდენტურად განხორციელების შესაძლებლობას ადგენს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა 2008 წლის 14 მაისის განჩინებით.

კერძოდ კი საქმის ფაქტობრივი გარემოებებზე თანახმად მოპასუხე სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს 1996 წლის 15 ოქტომბრის 2 დადგენილების საფუძველზე აღნიშნული ბანკის ნაძალადევის 4 ფილიალის გადაეცა შპს კომერციულ ბანკ, ხოლო მათ შორის 1996 წლის 24 ოქტომბერს დადებული დამატებითი ხელშეკრულების თანახმად, შპს კომერციულ ბანკს სრულად გადაეცა მოპასუხე სააქციო საზოგადოების ნაძალადევის 4 ფილიალის ყველა ვალდებულება და მოთხოვნის უფლება კლიენტებთან მიმართებაში ხელშეკრულების დადების მეორე დღიდან, 1996 წლიდან მოსარჩელებმა სალარო წიგნაკები გახსნეს და განაგრძეს პენსიების მიღება და ჩარიცხვა ამ ბანკიდან, რაც დასტურდება შესაბამის შემნახველ წიგნაკებში მითითებული ჩანაწერებით აღნიშნულ ფაქტს არც მოსარჩელები უარყოფენ.

კასატორები უთითებენ, მხოლოდ იმაზე, რომ აღნიშნული გარიგება არის უკანონო, რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 204-ე მუხლის თანახმად ვალის გადაკისრების აუცილებელი იყო მათი თანხმობა. კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად “თუ ვალის გადაკისრების შესახებ შეთანხმდნენ მესამე პირი და მოვალე, მაშინ გადაკისრების ნამდვილობა დამოკიდებულია მოთხოვნის მფლობელის თანხმობაზე.”

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსახილველი ნორმის დანაწესის დაუცველობამ შეიძლება გამოიწვიოს გარიგების ბათილობა, მაგრამ აღნიშნული კატეგორიის გარიგებები არ წარმოადგენენ უცილოდ ბათილ გარიგებებს. მისი ბათილად ცნობის ერთ-ერთ სამართლებრივ წინაპირობას წარმოადგენს კრედიტორის შეცილება, რისთვისაც უნდა არსებობდეს შეცილების საფუძველი. კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელები (კასატორები) 1996 წლიდან აგრძელებდნენ შპს „კომერციულ ბანკში“ თანხების ჩარიცხვასა და მიღებას. საკასაციო პალატის განმარტებით მოსარჩელეთა მიერ 1996 წლიდან შპს კომერციულ ბანკში თანხების ჩარიცხვისა და მიღების გაგრძელება შეიძლება ჩაითვალოს კონკლუდენტურ მოქმედებად, რადგანაც მოსარჩელებმა (კასატორებმა) თავისი

<sup>294</sup> ნაჭყებია ა., სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013) გვ. 31.

მოქმედებებით დაადასტურეს შპს „კომერციულ ბანკთან“ არსებული სამართლებრივი ურთიერთობა.“<sup>295</sup>

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორები არ უთითებენ შპს „კომერციულ ბანკთან“ თანხების ჩარიცხვასა და მიღებასთან დაკავშირებული თავიანთი ნების მართებულობაზე. ამდენად, კასატორების ამგვარი მოქმედებები ადასტურებენ შპს „კომერციულ ბანკთან“ არსებულ გარიგების ნამდვილობას.<sup>296</sup>

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიუხედავად გადაწყვეტილებათა არც თუ შთამბეჭდავი რაოდენობისა შეიმჩნევა ერთგვაროვანი მიდგომა დადასტურების ინსტიტუტის მიმართ, შექმნილია ერთიანი სტანდარტი და ნიველირებულია ყველა ბუნდოვანება, რაც კი შეიძლება მატერიალურმა ნორმამ ერთი შეხედვით წარმოშვას - განსაზღვრულია ინსტიტუტის გამოყენების ფარგლები, წინაპირობები და შედეგები.

## დასკვნა

ამდენად, წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში განხილული იქნა დადასტურების ინსტიტუტის მნიშვნელობა გარიგებათა ბათილობისა და საცილობის პირობებში, კერძოდ კი ერთმანეთისაგან იქნა გამიჯნული დადასტურების წინაპირობები და შედეგები. ხაზი გაესვა იმ გარემოებას თუ რამდენად არასწორადაა, სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლში გაერთიანებულია ორი თვისობრივად სრულებით განსხვავებული სამართლებრივი ინსტიტუტი, მათი დანიშნულება ნამდვილად საერთოა და მხარეთა მიერ დასახული სამართლებრივი მიზნის მიღწევას ემსახურება, თუმცა მსგავსება სწორედ რომ აქ მთავრდება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლის დასახელება „დადასტურების მნიშვნელობა გაირგებათა ბათილობისას“ არაორაზროვანია და განსაკუთრებული განმარტების მეთოდების გარეშე შეიძლება დადგინდეს, რომ მოცემული ნორმით მოწესრიგებულია ბათილი გარიგებების დადასტურების შესაძლებლობა, თუმცაღა ნორმის მე-3 ნაწილი ასევე ითვალისწინებს საცილო გარიგებათა დადასტურებას, რაც თავის მხრივ

<sup>295</sup> ნაჭყებია ა., სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013) გვ. 31-32.

<sup>296</sup> № ას-828-1143-07 14 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 14 მაისის განჩინება

იწვევს გარკვეულ ბუნდოვანებას. საცილო გარიგება მერყეობს ნამდვილობასა და ბათილობას შორის, საცილო გარიგება შეცილებამდე ნამდვილია და მისი გაერთიანება ბათილი გარიგების დადასტურებასთან და ერთი მუხლის ქვეშ გაერთიანება, კონცეპტულურად სრულებით გაუმართლებელი. საცილო გარიგება მხოლოდდამხოლოდ შეცილების შემდგომ შეიძლება გახდეს ბათილი და შესაბამისად მის წინარე ეტაპს წარმოდგენს და ამ თვალსაზრისითაც მათი სამართლებრივი შედეგების გაიგივება ყოვლად მიუღებელია, ამ თვალსაზრისით დადასტურებაც სწორედ ბათილი და საცილო გარიგების ერთ-ერთ შედეგად გვესახება.

ნაშრომში მკაფიოდ იქნა წარმოდგენილი ბათილ და საცილო გარიგებათა დადასტურებას შორის არსებული განსხვავებები, დეტალურად იქნა განხილული თუ როდის და რა შემთხვევაში შეიძლება მოხდეს მისი გამოყენება და თითოეული მათგანი რა სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მონაწილე მხარეთათვის.

შეფასებული იქნა დადასტურების ინსტიტუტის დანიშნულება და გამოიკვეთა მისი აქტუალურობა, იგი განხილული იქნა, როგორც სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის გამოხატულება და ერთგვარი გაგრძელებაც კიდევ, ვინაიდან მხარეებს ხელშეკრულების დადების შემდეგ კიდევ ეძლევათ შესაძლებლობა კერძო ავტონომიის ფარგლებში, თავად განსაზღვრავენ, თუ რა სურთ და როგორ უნდა მიაღწიონ სასურველ შედეგს. დადასტურების ძალით გარიგების მონაწილეები უფლებამოსილნი არიან გამოასწორონ არსებული ნაკლი აღმოფხვრან დაბრკოლება რამაც გამოიწვია გამოვლენილი ნების ნიველირება, შედეგად კი ვერ წარმოიშვა ურთიერთობა რომელსაც ემსახურებოდა მხარეთა ქმედება. დადასტურების გზით მონაწილეები, მათთვის სასურველ და განზრახულ სამართალურთიერთობას გარკვეულ ჩარჩოში აქცევენ და ამავდროულად ანიჭებენ სამართლებრივი ძალას. დადასტურების ინსტიტუტი მკაფიო გამოხატულებაა იმ ფაქტისა, რომ სახელშეკრულებო თავისუფლება სამართლებრივ ფასეულობათა წესრიგის ფარგლებშია შესძლებელი“.<sup>297</sup>

ყოველი კონკრეტული ხელშეკრულება ადამინათა ურთიერთობის განსაკუთრებული გამოვლინებაა<sup>298</sup> და, აქედან გამომდინარე, სოციალური მოვლენა. დადასტურების ინსტიტუტის მეშვეობით მხარეები გარდაქმნიან სამართლებრივად უვარგის გარიგებას, ანიჭებენ მას კანონიერ ძალას სასამართლოსა თუ ადმინისტრაციული ორგანოსაგან დამოუკიდებლად.

<sup>297</sup> ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, საგამომცემლობა საქმის სასწავლო ცენტრი, თბ., 2005 გვ. 273.

<sup>298</sup> H. Collins, *Regulating Contracts*, Oxford University Press, 1999, P.13.

დადასტურების მნიშვნელობაც სწორედ ამ დეტალებში მდგომარეობს, კონტრაპტები თავად განსაზღვრავენ და წყვეტენ მათ შორის არსებული გარიგების ლეგიტიმციის საკითხს.

ნაშრომში მოყვანილი სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვის შემდეგ დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიუხედავად გადაწყვეტილებათა რაოდენობის სიმცირისა, შეიმჩნევა ერთიანი სტანდარტის დამკვიდრება და ნორმის ერთგვარ ბუნდოვანებას სასამართლო განმარტებაზე ზეგავლენა არ მოუხდენია, პრაქტიკაში მკვეთრი ზღვარია გავლებული ბათილი და საცილო გარიგებათა დადასტურების თვალსაზრისით.

მკაფიო მაგალითისა და განსხვავების თვალსაჩინოებისათვის წარმოდგენილია შედარებითი ანალიზი გერმანიისა და ესტონეთის სამოქალაქო კანონმდებლობაში დადასტურების ინსტიტუტის მოწესრიგების საფუძველზე, სადაც საცილო და ბათილი გარიგების დადასტურება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და განყენებულადაა დახასიათებული ასევე მკვეთრადაა გამიჯნული როგორც კრიტერიუმები ასევე შედეგები, მიღებული დასკვნებისა და არგუმენტების გასამყარებლად მოხმობილია სასამართლო პრაქტიკა.

ნაშრომში დეტალურადაა დახასიათებული თითოეული ბათილი და საცილო გარიგების სახე, რომელზეც ვრცელდება განხილული ინსტიტუტის მოქმედების ფარგლები ეს კი თავის მხრივ ხელს უწყობს დადასტურების მთლიანობაში აღქმას და აარა შემოთავაზებული მხოლოდ ბლნაკეტური თუ ფრაგმენტული მოსაზრებები.

მოცემული ნაშრომის მთავარ მიზანია შექმნას მკაფიო წარმოდგენა დადასტურებაზე, როგორც სამართალურთიერთობის შენარჩუნებისა და დასახული მიზნის მიღწევის გამარტივებულ შესაძლებლობაზე მას შემდეგ, რაც მიღებული გარიგება არის უვარგისი დაშვებული სამართლებრივი ხარვეზის გამო. აღნიშნული ინსტიტუტი, რატომღაც ყოველთვის ჩრდილშია და თითქოს მხოლოდ ერთგვარ დანამატს წარმოადგენს ბათილი და საცილო გარიგებისა, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მსგავსი გარიგებებთან ერთადერთი ბედი, რატომღაც საბოლოოდ მხოლოდ ბათილობა და ურთიერთობის შეწყვეტაა. ამ დროს კი დადასტურებაზე როგორც „მაშველ რგოლზე“ აქცენტი არ კეთდება და ხაზი არ ესმება მის გადაწყვეტ მნიშვნელობას.

## ბიბლიოგრაფია

### სამეცნიერო ლიტერატურა

ამირანაშვილი გიორგი, გარიგების ფორმის ფუნქციები, სამართლის ჟურნალი № 1, თბილისი 2016.

ახვლედიანი ზურაბ, ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999.

ოსელიანი ალექსანდრე, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებითსამართლებრივი კვლევა), ქსმ, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2007.

ოსელიანი ალექსანდრე, სახელშეკრულებო საკოლიზიო სამართალი, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2011.

ოსელიანი ნინო, ხელშეკრულების განმარტება, გამომცემლობა იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“ თბილისი, 2008

ზარანდია/ჯუღელი, ზნეობრივი ვალდებულებანი სამოქალაქო სამართალში, მართლმსაჯულება და კანონი, 4/ თბილისი, 2006.

ზოიძე ბესარიონ, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005.

ზოიძე ბესარიონ, სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა, უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში, ესეები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013.

კობახიძე ავთანდილ, სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი I, თბილისი, შპს გაზეთ „საქართველოს მაცნეს“ სტამბა, 2004.

მონტესკიე შარლ ლუი, კანონთა გონი, დ. ლაბუჩიძე-ხოფერიას თარგმანი, ნ. ნათაძე, ო. ჯიოევი (რედ.), მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი, 1994.

კროპჭოლერი იან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თორნიკე დარჯანიასა და ზურაბ ჭეჭელაშვილის თარგმანი, თბილისი, 2014.

კერესელიძე დავით, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009.

კობახიძე ავთანდილ, სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი I, თბილისი, შპს გაზეთ „საქართველოს მაცნეს“ სტამბა, 2004.

მონტესკიე შარლ ლუი, კანონთა გონი, დ. ლაბუზიძე-ხოფერიას თარგმანი, ნ. ნათაძე, ო. ჯიოევი (რედ.), მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ვაკვასიური ინსტიტუტი, თბილისი, 1994.

ნაჭყებია ალექო, სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013) თბილისი, 2014.

საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გიორგი ხუბუა თბილისი, 2005.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, ჭანტურია/ახვლედიანი/ზოიძე/ჯორბენაძე (რედ.), გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001.

სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, წანტურია (რედ.), თბილისი 2017.

ციპელიუსი რაინჰოლდ, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მეათე გადამუშავებული გამოცემა, ბეკის გამომცემლობა, ლ. თოთლაძის თარგმანი, მ. ტურავა (რედ.), ჯგუფი „სიესტა“ (ტექ. უზრუნველყოფა), თბილისი, 2009.

ძლიერიშვილი ზურაბ, ცერცვაძე გიორგი, რობაქიძე ირაკლი, სვანაძე გიორგი, ცერცვაძე ლაშა, ჯანაშია ლევან, სახელმეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014.

ჭანტურია ლადო, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2012.

ჭანტურია ლადო, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2011.

ჭანტურია ლადო, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1997.

ჯორბენაძე სანდრო, ფრენშიაზინგის ხელშეკრულება, თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, თბილისი, 2000.

ჯორბენაძე სერგი, ხელშეკრულების თავისუფლების ცნება სამართლის ჟურნალი № 1, თბილისი, 2014.

ჯორბენაძე სერგი, ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2016.  
<[http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/disertaciebi\\_samartali/sergi\\_jorbenadze.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/sergi_jorbenadze.pdf)>

ხუნაშვილი ნინო, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2014.  
<[http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/disertaciebi\\_samartali/nino\\_xunashvili.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/nino_xunashvili.pdf)>

Becker M., Absurde Verträge, Verlag Mohr Siebeck, Tübingen, 2013.

Brox/Wolker. Allgemeiner Teil des BGB, 30. Auflage, Carls Heymanns, München, 2006.

Bäurele M., Vertragsfreiheit und Grundgesetz, 1. Auflage, Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden, 2001, 121.

Bub, in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016.

Cserne P., Freedom of Contract and Paternalism: Prospects and Limits of an Economic Approach, Palgrave Macmillan, New York, 2012.

Dernauer M., Verbraucherschutz und Vertragsfreiheit im japanischen Recht, Verlag Mohr Siebeck, Tübingen, 2006.

Di Fabio U., Sicherheit in Freiheit, NJW, Heft 7, Verlag C.H. Beck, München, 2008.

Enders C., Wiederin E., Rainer P., Sodan H., Der Sozialstaat in Deutschland und Europa, Peter M. Huber (Red.), De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2005.

Eckert H.-W. in Beck'scher Online-kommentar BGB, Hrsg: Bamberger/Roth, Stand: 01.08.2013, Edition: 28, §145, Rn. 2 [www.beck-online.beck.de](http://www.beck-online.beck.de) [27.05.2019].

Erman, Bürgerliches Gesetzbuch, Handkommentar.

Friedmann L. M., Law in America, a Short History, Modern Library Paperback Edition, New York, 2004.

Flume Werner, Allgemeiner Teil des bürgerlichen Rechts, zweiter Band, das Rechtsgeschäft, 4. Auflage, Springer-Verlag Berlin Heidelberg GmbH, 1992.

Jauernig, BGB, 14. Aufl., 2011.

H. Collins, Regulating Contracts, Oxford University Press, 1999.

H.Közy, A. Flessner, T. Weir, European Contract Law, Vol. 1, Clarendon Press Oxford.

Jauering, Bürgerliches Gesetzbuch, 14. Auflage, Verlag C. H. Beck, München, §311, 2011.

Kittner M., Schuldrecht, Rechtliche Grundlagen – Wirtschaftliche Zusammenhänge, 3. Auflage, Verlag Franz Vahlen, München, 2003.

Kohte, JuS 1984.

Kötz H., Vertragsrecht, 2. Auflage, Verlag Mohr Siebeck, Tübingen, 2012.

Lohs M.M., Grenzen der Vertragsfreiheit im polnischen Zivilrecht, Verlag Peter Lang, Frankfurt am Main, 2000.

Meller-Hannich C., Verbraucherschutz im Schuldvertragsrecht, Private Freiheit und staatliche Ordnung, Verlag Mohr Siebeck, Tübingen, 2005.

Monographisch M. Müller, Die Bestätigung nichtiger Rechtsgeschäfte 1989.

Münchener Kommentar zum BGB, 6. Auflage, Verlag C.H. Beck, München, 2012.



MüKo/Bayreuther, BGB, 7. Aufl. 2015

MüKo/Schmitt, BGB, 6. Aufl., 2012.

Medicus, BGB AT, 10. Aufl., 2010.

Mankowski Peter Beseitigungsrechte – Anfechtung Widerruf und verwandte Institute, Habilitationsschrift Mohr Siebeck, 2003.

Preis in Kündigungsrecht, Abscheid/Preis/Schmidt (Hrsg.), 4. Auflage, Verlag C. H. Beck, München, 2012.

Palandt/ Ellenberger, 71. Auflage 2012.

Palandt/ Ellenberger, 71. Auflage 2012.

Prütting/ Wegen/ Weinreich/ Ahrens, 7. Auflage 2012, § 144 Rn. 1.

Richardi R., Arbeitsvertragsgesetz und Privatautonomie, NZA, Heft 17, Verlag C.H. Beck, München, 1992.

Schramm Hans-Joachim, Das Privatrecht im Kaukasus und in Zentralasien, Bestandaufnahme und Etnwicklung, Berlin, 2010.

Schulze Reiner (Schriftleitung), BGB, Handkommentar, 6. Auflage, Verlag Nomos, Deutschland, 2009.

Schliemann H., Tarifliches Günstigkeitsprinzip und Bindung der Rechtsprechung, NZA, Heft 3, Verlag C.H. Beck, München, 2003, 124.

Singer R., Vertragsfreiheit, Grundrechte und der Schutz des Menschen vor sich selbst, Juristische Zeitung (JZ), 50. Jahrgang, 1. 1995.

Schäfer H.-B., Ott C., Lehrbuch der ökonomischen Analyse des Zivilrechts, 2. Auflage, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 1995.

Ulrici B., Verbotsgesetz und zwingendes Gesetz, JuS, Heft 12, Verlag C.H. Beck, München, 2005.

Wendtland, in Beck OK BGB, 28. Aufl. Stand 01.08.2013.

**ნორმატიული აქტები**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

ესტონეთის სამოქალაქო კოდექსის აქტის ზოგადი ნაწილი  
<<https://www.riigiteataja.ee/en/eli/ee/530102013019/consolide>>